საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 8 ივნისი. 2018 წ. №119 (8520), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სამ სიტყვაში – სამი დანაშაული!

შოთა შალელაშვილი სააკაშვილს სასამართლოში უჩივლებს

„ქართული ოცნების“ დეპუტატი შოთა შალელაშვილი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურების დაწყებას აპირებს.

ამის შესახებ მან განცხადება გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა და აღნიშნა, რომ მისმა იურისტებმა ამისთვის მზადება უკვე დაიწყეს.

შალელაშვილი აცხადებს, რომ მას ბიძინა ივანიშვილთან არასოდეს ჰქონია და არა აქვს რაიმე სახის ბიზნესურთიერთობა. თუმცა, ადასტურებს, რომ მისი ვაჟი მართლაც იყო ეჭვმიტანილი კიბერდანაშაულში აშშ-ში. ამასთან, მისი თქმით, მისი შვილი არ იმყოფება წინასწარ პატიმრობაში და ელის სასამართლო გადაწყვეტილებას.

„სამწუხაროდ, არ მქონდა ნანახი „რუსთავი-2“-ის ეთერში გასული გადაცემა, სადაც მიხეილ სააკაშვილმა „აფერისტი რუსი ებრაელი“ მიწოდა. პირადად მე, შოთა შალელაშვილი, ამას ვაფასებ, როგორც ანტისემიტურ და რასისტულ განცხადებას, რომელიც შეურაცხყოფას მაყენებს არა მხოლოდ მე, არამედ საქართველოში მცხოვრებ მთელ ებრაულ საზოგადოებას. თანამედროვე სამყარო შეთანხმდა, რომ ამ ენაზე არათუ პოლიტიკოსები, არამედ თანამედროვე ადამიანები არ საუბრობენ. სააკაშვილის ფსიქიურ მდგომარეობაზე მე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ამ კაცმა მოახერხა და ამ სამ სიტყვაში პრაქტიკულად სამი დანაშაული ჩაიდინა.

„ამ ტიპის შეურაცხყოფაზე კი ვიწყებ პოლიტიკურ კამპანიას და შესაბამის პროცედურებს სააკაშვილის წინააღმდეგ. სამართლებრივ დონეზე, ჩემი რეაქცია იქნება მაქსიმალურად მკაცრი – ჩემმა იურისტებმა დიწყეს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურებისთვის მზადება!

„ეს განცხადება, ბუნებრივია, გაიგზავნება იმ მრავალრიცხოვან ებრაულ ორგანიზაციებში, რომლებიც მთელ მსოფლიოშია განთავსებული, საერთაშორისო ორგანიზაციებში, აშშ-ის კონგრესის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტში. სააკაშვილის მხრიდან გაჟღერებული, სიძულვილით გამსჭვალულ ანტისემიტურ და რასისტულ განცხადებაზე ველი შესაბამის რეაქციას პოლიტიკური ძალების წარმომადგენლების მხრიდან, მედიის და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან! იმედი მაქვს, ისინი გაემიჯნებიან ასეთ განცხადებებს და მოახდენენ კიდეც შესაბამის რეაგირებას,“ – განაცხადა შალელაშვილმა.

სასამართლომ „ქართული მარშის“ წევრები გაათავისუფლა

თბილისის საქალაქო სასამართლომ „რუსთავი-2-ის“ წინ მიმდინარე აქციის დროს დაკავებული „ქართული მარშის“ წევრი ექვსი პირიდან ხუთი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ლადო სადღობელაშვილი, ბექა რევაზიშვილი, მიხეილ ამისულაშვილი, ირაკლი დოლენჯაშვილი, ოლეგ დანგაძე ნ-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილებით წინასწარ პატიმრობაში მხოლოდ ორი პირი – გიორგი ონიანი და ლუკა ნაცვლიშვილი რჩება.

ბრალდებულების ადვოკატებმა საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს. ადვოკატებმა აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეცვლა გირაოს სანაცვლოდ მოითხოვეს. ექვსი პირი „რუსთავი-2“-თან მოწყობილი ჩასაფრებისა და წამყვან გიორგი გაბუნიაზე განხორციელებული თავდასხმის გამო დააკავეს.

მალხაზ მაჩალიკაშვილი: თქვენ ამოწყვიტეთ მთელი ჩემი ოჯახი!

მალხაზ მაჩალიკაშვილი ხელისუფლებასა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრს შეცდომის აღიარებისა და დამნაშავეების დასასჯელად ვადას 10 ივნისამდე აძლევს. თემირლან მაჩალიკაშვილის მამა ამბობს, რომ კვირიკაშვილი თავდაპირველად მასთან შეხვედრას არ აპირებდა. მალხაზ მაჩალიკაშვილის თქმით, პრემიერის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მან კვირიკაშვილს უთხრა, რომ სახელმწიფომ მის ოჯახში ტერორისტული აქტი ჩაატარა:

„თქვენ ჩაატარეთ ჩემთან ოჯახში ტერორისტული აქტი, თქვენ ამობუგეთ ჩემი ოჯახი, თქვენ დამტოვეთ მე უძეოდ, თქვენ დახვრიტეთ ჩემი შვილი თემირლანი, უძეოდ, თქვენ ამოწყვიტეთ მთელი ჩემი ოჯახი, ეს იყო საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ჩატარებული ტერორისტული აქტი და ის არ იკმარეთ, თქვენ ყაჩაღებმა, სახლიდან ფულიც მომპარეთ... ამის გარდა, მე სულ არ მაინტერესებს არანაირი დეტალები, სრული გამოძიება იქნება, თქვენ საქმის კურსში იყავით-არ იყავით, დაისაჯოს გომელაური, დაისაჯოს გოგაშვილი, დაისაჯოს სპეცრაზმელი,“ – განაცხადა მაჩალიკაშვილმა.

ვაჟა ბერიძე: მოდის მეოთხე ტალღა, რომელიც წინა ტალღებზე ათჯერ და ასჯერ ძლიერიც შეიძლება იყოს!

4

ჰამლეტ ჭიპაშვილი: მორიგი „სპექტაკლი“ რუსეთის წინააღმდეგ

6

ეკონომიკა იზრდება, მოსახლეობა ღარიბდება!!!

5

როცა უცხოურ ინვესტიციებს სახელმწიფოს დასაქცევად ვიყენებთ!

3



ჯემალ კასრაძე: ჩემი ოცნებაა, გადავილო ცხინვალში დაბრუნებული ქართველები...

7

დიმიტრი ქუმსიშვილი: ბიზნესსექტორის ბრუნვის ზრდა პოზიტიურად აისახა დასაქმებაზე

პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის შეფასებით, ბიზნესსექტორში ბრუნვის ზრდა, პირველ რიგში, პოზიტიურად აისახა დასაქმებაზე – 2018 წლის პირველ კვარტალში სამუშაო ადგილების რაოდენობა 5.3%-ით, მათ შორის დაქირავებული სამუშაო ადგილების რაოდენობა 5.7%-ით გაიზარდა. **„მზარდი ტენდენცია შენარჩუნდა ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის თვალსაზრისითაც – 2017 წლის პირველ კვარტალთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 8.0%-ით არის გაზრდილი და 1106.4 ლარს შეადგენს“.**

პირველმა ვიცე-პრემიერმა „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2018 წლის პირველ კვარტალში საქმიანობის სახეების მიხედვით ბრუნვა გაზრდილია ყველა სექტორში. **„ბიზნესსექტორის ბრუნვის ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი ვაჭრობის (ზრდა 16.7%), ხელოვნების, გართობის და დასვენების (ზრდა 57.8%,), დამამუშავებელი მრეწველობის (16.7%,) და მშენებლობის (14.8%) სექტორებმა შეიტანეს“,** – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, ეკონომიკის ყველა სექტორში შეინიშნება გამოშვების ზრდაც – ამ მიმართულებით აღსანიშნავია დამამუშავებელი მრეწველობა (ზრდა 18.0%), მშენებლობა (ზრდა 18.0%), ვაჭრობა (ზრდა 8.2%) და ენერგეტიკა (ზრდა 34.8%). აქვე აღსანიშნავია გამოშვების მაღალი ზრდა ხელოვნების, გართობისა და დასვენების (ზრდა 39.1%), ასევე სასტუმროებისა რესტორნების სექტორებში (ზრდა 25.8%).

ბიზნესსექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილით გამოირჩევიან ვაჭრობის (ზრდა 5.1%), მშენებლობის (ზრდა 7.5%), დამამუშავებელი მრეწველობის (ზრდა 3.7%), ტრანსპორტირების და დასაწყობების (ზრდა 5.4%) სექტორები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ბრიუსელში

ბრიუსელი ნატოს თავდაცვის მინისტერიალს მასპინძლობს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას ხელმძღვანელობით ბელგიის სამეფოში იმყოფება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი მინისტერიალის ფარგლებში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის (RSM) ფორმატში ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. შეხვედრაზე ლევან იზორია ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქვეყნების თავდაცვის მინისტრების წინაშე სიტყვით წარდგება.

ნატოს ახალ შტაბბინაში მიმდინარე მინისტერიალის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინის-

ტრი ორმხრივ შეხვედრებს ხორვატ და უნგრელ კოლეგებთან გამართავს. იგეგმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ხორვატიის თავდაცვის სამინისტროსთან.

„ბერძენ გემთმფლობელთა ასოციაცია“ საქართველოს საზღვაო პოტენციალით დაინტერესდა

როგორც საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში განმარტავენ, სააგენტოს დირექტორი თამარ იოსელიანი მსოფლიოში უმსხვილეს „ბერძენ გემთმფლობელთა ასოციაციის“ პრეზიდენტს თეოდორე ვენიამინს, საბერძნეთში მიმდინარე გამოფენა ზწთშვწტშფ 2018-ის ფარგლებში შეხვდა. შეხვედრისას თამარ იოსელიანმა ვენიამისს საქართველოში დაგეგმილ საერთაშორისო საზღვაო ფორუმზე დასასწრებად, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის მოწვევა გადასცა. თავად ფორუმი კი საქართველოში სექტემბრის შუა რიცხვებშია ჩანიშნული.

შეხვედრისას ვენიამისმა აღნიშნა, რომ ტრადიციულად ბერძენ გემთმფლობელებს საქართველოს საზღვაო დროშა და ზოგადად საქართველოს საზღვაო პოტენციალი აინტერესებთ. მისივე განმარტებით, დეტალების განხილვა შესაძლებელია დამატებით ორმხრივ შეხვედრაზე, რომელიც უახლოეს მომავალში ჩაინიშნება.

სერგი კაპანაძე ზაზა სარალიძეს შეხვდა

არასრულწლოვნების მკვლელობის საქმის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე სერგი კაპანაძე მოკლული დავით სარალიძის მამას, ზაზა სარალიძეს შეხვდა. შეხვედრა სარალიძის სახლში გუშინ დილით შედგა. კაპანაძის თქმით, საქმეზე უფრო დეტალურად სასაუბროდ სარალიძე პარლამენტში დღეს ადვოკატთან ერთად მივა.



„ზაზა სარალიძე თვითონ დააფიქსირებს პოზიციას კომისიასთან მიმართებაში და თქვენ თვითონ განსაჯეთ, აქვს თუ არა მას ნდობა. მასთან სახლში ჩვენ საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა გვქონდა. ძალიან ბევრ დეტალზე ვისაუბრეთ, შევთანხმდით, რომ გავაგრძელებთ თანამშრომლობას“, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას სერგი კაპანაძემ.

კაპანაძე და დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრები – ოთო კახიძე და ელენე ხოშტარია ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს ალეკო ცქიტიშვილს და იურისტ ნესტან ლონდარიძეს შეხვდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრი ზაზა სარალიძის ინტერესებს იცავს. საგამოძიებო კომისიის წარმომადგენლებმა ზაზა სარალიძის უფლებების დამცველებს კომისიის მიზნები და გეგმები გააცნეს. ცენტრმა სრული მზაობა გამოხატა, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საპარლამენტო გამოძიებას.

საზოგადოებას 10 ივნისამდე მოზარდთა მკვლელობის საქმეზე ახალ ინფორმაციას მივაწვდით!

შს მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძე ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ნინო ლომჯარიას შეფასებას ეხმაურება და აცხადებს, რომ წინასწარი დასკვნების გამოტანა ცოტა გაუგებარია. ჯავახაძის თქმით, შსს-ში მიმდინარე გამოძიების კვალდაკვალ საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია.

„შსს-ში გამოძიება მიმდინარეობს. გამოძიება დაწყებულია რამდენიმე თვის წინათ და ის იმ პირების გამოსაკვეთად მიმდინარეობს, რომელთაც რაღაც ქმედებითი გავლენა მოახდინეს პროცესის მონაწილეებზე – იქნებოდა ეს ფინანსური თუ სხვაგვარი გავლენები. შესაბამისად, ყველაფერს შევისწავლით და თუ დამნაშავეები დადგინდა, მოხდება შესაბამისი რეაგირება. გარკვეული ახალი გარემოებები სასამართლო პროცესზე გამოიკვეთა, რომელთა აქტიური შესწავლაც ახლა მიმდინარეობს. გამოძიების მიმდინარეობის კვალდაკვალ საზოგადოებას ათ რიცხვამდე და შესაძლოა, უფრო ადრეც მივაწოდოთ ინფორმაცია“, – განუცხადა ჟურნალისტებს ნინო ჯავახაძემ.

„თეთრი ძაფები“ ხორავაზე მკვლელობის საქმეში

ბევრი ინტერესის თანხვედრას ჰქონდა ადგილი ამ საქმეში. ბევრი სხვადასხვა დაინტერესებული პირების ინტერესთა თანხვედრას შეიძლება ჰქონდა ადგილი, – აცხადებს სახალხო დამცველი ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვნების მკვლელობის საქმეზე საუბრისას. ნინო ლომჯარია გამოძიების ხარვეზებზე საუბრობს და ამბობს, რომ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნებოდა პროცესში, საერთოდ არ ჩატარებულა.

„ჩანს გამოძიების ეტაპზე ის თეთრი ძაფები, რაზეც საუბრობდა დაზარალებული მხარე. მოწმე იძლეოდა ისეთ ჩვენებას, რაზეც გამოძიება უნდა დაწყებულიყო, მაგრამ არ დაწყებულა. როდესაც მტკიცებულებები არ არის ამოღებული, როდესაც დაკითხვა აჩენს ეჭვს, დასმული შეკითხვები ან არდასმული შეკითხვები აჩენს ეჭვს. როდესაც არ ჩატარებულა ძირითადი საგამოძიებო მოქმედებები, მაშინ როდესაც ეს იყო ჩასატარებელი, არ ყოფილა მიქცეული ძალიან მნიშვნელოვან და ისეთ გარემოებებზე ყურადღება, რაზეც რამდენიმე მოწმე საუბრობდა.

ბევრი ინტერესის თანხვედრას ჰქონდა ადგილი ამ საქმეში. ბევრი სხვადასხვა დაინტერესებული პირების ინტერესთა თანხვედრას შეიძლება ჰქონდა ადგილი. ამ საქმის გამოძიება არ არის მნიშვნელოვანი მხოლოდ ოჯახის წევრებისთვის, ამ საქმის გამოძიება არის მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ეს სისტემა შეიცვალოს“, – განაცხადა ომბუდსმენმა.

... ერაძე ადგილზე არ ჩაკეცილა და სისხლი არ მოსდის!

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერი თამაზ მეჭიაური „ქართული მარშის“ დაკავებულ წევრებს თავდებში უდგება. მეჭიაური გუშინ საქალაქო სასამართლოში იმყოფებოდა, სადაც „რუსთავი-2“-თან მომხდარი დაპირისპირების დროს დაკავებულების პროცესი მიმდინარეობდა.

„მიმაჩნია, რომ წინასწარი პატიმრობა არ არის აუცილებელი აღნიშნული დანაშაულისთვის. ვემიჯნები ყველა სახის ძალადობას, თუმცა დასჯილი არ უნდა იყოს მხოლოდ ლიბერალური ძალების წინააღმდეგ გამოვლენილი ძალადობა, არამედ უნდა დაისაჯოს ის ძალადობაც, რომელიც ვლინდება მართლმადიდებლობის წინააღმდეგ“, – აცხადებს მეჭიაური.

დაკავებულების ადვოკატი კი აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეცვლას გიორგაოს სანაცვლოდ ითხოვს და აცხადებს, რომ მას აქვს მტკიცებულებები, თუ როგორ სცემენ აქციის მონაწილეებს „რუსთავი-2“-ის დაცვის თანამშრომლები.

„ჩვენ გვაქვს მტკიცებულება, რომ მანქანა ეზოში შედის აბსოლუტურად უვნებელი, რაც შეეხება ცემის კადრებს, ეს არის დამონტაჟებული, გაყალბებული და მე მაქვს ამის მტკიცებულებები და გაჩვენებთ, რომ ერაძე ადგილზე არ ჩაკეცილა და სისხლი არ მოსდის, როგორც ამას თავის ჩვენებაში იძლევა, მე მაქვს მტკიცებულებები იმისა, რომ „რუსთავი-2“-ის თანამშრომლები ერთმანეთში ჩხუბობდნენ და მერე ერთმანეთს აშველებდნენ,“ – განაცხადა ადვოკატმა ცირა ჯავახიშვილმა.

სადღობელაშვილმა სასამართლო პროცესზე ლოცვა ითხოვა

გუშინ სასამართლო პროცესზე, სადაც „ქართული მარშის“ დაკავებული წევრებისთვის აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვაზე იმსჯელეს, ერთ-ერთმა ბრალდებულმა ლადო სადღობელაშვილმა მოსამართლეს სხდომის დაწყებამდე სთხოვა სასამართლო პროცესი ბრალდებულებს ლოცვით დაეწყო, რაც მოსამართლემ არ გაითვალისწინა და განმარტა, რომ ეს არის სასამართლო და არა ეკლესია.

როცა უცხოურ ინვესტიციებს სახელმწიფოს დასაქცევად ვიყენებთ!

„საპარტნიორო ფონდი“ და არსებული ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყნისთვის საშიშია!

დღეს ბევრი ეკონომისტი დავობს, თუ რა მოგებით მუშაობენ უცხოელი ინვესტორები. გადახედეთ უცხოურ ინვესტიციებს, რომელ სფეროებშია ჩადებული და დარწმუნდებით, რომ უცხოელი ინვესტორები კოლოსალურ, გარანტირებულ მოგებებზე მუშაობენ. ეს სფეროებია: ბანკები, დაზღვევა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ბუნებრივი რესურსები, სასტუმროები, რესტორნები, სათამაშო ბიზნესი, სამშენებლო ბიზნესი და ა.შ. წარმოებაში, ანუ რეალურ, მწარმოებლურ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციები ცალკეული, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ იდება.

ახლა ჩაიდო საავიაციო ქარხანაში ებრაული ინვესტიცია, რომელმაც საექსპორტო პროდუქცია უნდა შექმნას. ეს თანამედროვე ნანოტექნოლოგიური წარმოებაა და მთლიანად ექსპორტზე იმუშავებს.

კარგია, როცა ინვესტორს ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიები შემოაქვს, მითუმეტეს, თუ ამ ტექნოლოგიებს და აქ მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას სხვა სფეროებშიც გამოვიყენებთ. კარგია, რომ ეს წარმოება მთლიანად ექსპორტზე იმუშავებს და მისი მოგების ეროვნულ ვალუტაზე უარყოფითი მოქმედება მთლიანად ნული იქნება. ეს ყველაფერი ძალიან კარგია და ამაში ჩვენ მთავრობას 10-იანი ეკუთვნის 10-ბალიანი სისტემით.

თუმცა, ნახეთ რა ხდება! პროექტში მონაწილეობს საპარტნიორო ფონდი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პროექტის ღირებულების (თუ არ მეშლება, 85 მლნ. დოლარია) 70 % -ს სახელმწიფო აფინანსებს. საპარტნიორო ფონდი ადგილობრივი მსხვილი კომპანიების (ძირითადად სახელმწიფო კომპანიების) მიერ ფინანსდება, ანუ ადგილზე მობილიზებული რესურსებია. ესეც ძალიან კარგია, რომ ასეთი კომპანიის შექმნაზე ჩვენი რესურსები მიდის.

მაგრამ:

შეთანხმების თანახმად, 5 წელიწადში კომპანია საპარტნიორო ფონდს თანხას დაუბრუნებს და ამ კომპანიის 100 %-იანი მფლობელი ებრაული მხარე გახდება!

ვინც წარმოება კარგად იცის, ეცოდინება, რომ ვალად აღებული თანხის (კრედიტის) გასტუმრება ძირითადად მოგებიდან ხდება, ან პროდუქციის თვითღირებულებაში გათვალისწინებული ძირითადი ფონდების ამორტიზაციის თანხებიდან.

ამ კომპანიას მინიმალური 20 % მოგებითაც რომ ემუშავა, 5 წელიწადში ჩადებული თანხა ისედაც დაბრუნდებოდა და, ფაქტობრივად, სახელმწიფო ამ კომპანიის 70 %-ის წილის მფლობელი გახდებოდა. წარმოების სრული კონტროლისთვის შეიძლებოდა უცხოელი ინვესტორისთვის საკონტროლო პაკეტი გადაგვეცა და წარმოების 51-55 % მისი ყოფილიყო, ეს გასაგები იქნებოდა, ვინც საკონტროლო პაკეტს ფლობს, ის კოპანიასაც აკონტროლებს, რაც უცხოელების მიერ შემოტანილი ნანო ტექნოლოგიების პირობებშია საჭირო. 20-30 % წილი მაინც დაეტოვებინა სახელმწიფოს, კომპანია „შიგნიდან“ რომ ეკონტროლებინა, იქნებ ფარულად ქვეყნისთვის საშიში იარაღის, ქიმიური ნივთიერების, ან იქნებ სხვა რამ საშიშის დამზადება დაიწყოს? ან იქნებ ეკოლოგიისთვის მავნე საქმიანობა განახორციელოს, რასაც სხვაგან ვერ გააკეთებს?!

აქ ძნელია რამის თქმა, მხოლოდ „მკითხაობა“ შეიძლება. იქნებ უცხოელი ინვესტორი სხვა პირობებზე არ წამოვიდა? მაგრამ ამის შესახებ ხელისუფლება არაფერს ამბობს და რჩება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკებმა არასაკმარისად დაიცვეს და გაითვალისწინეს სახელმწიფოს ინტერესები!

როგორც ვხედავთ:

1. უცხოელი ინვესტორი ჩვენ თანხებს 5 წელი აბსოლუტურად უფასოდ (უპროცენტოდ) იყენებს.

2. თუ კომპანია გაკოტრდა, სახელმწიფო ჩადებულ თანხას კარგავს, ვინაიდან თანხის დაბრუნებამდე, სახელმწიფო უცხოელი ინვესტორის პარტნიორია.

3. ძალიან დიდია რისკი და ცდუნებაა იმისა, რომ მოხდეს თაღლითობა, ანუ ამ თანხის მითვისების ან სხვაგვარად გამოყენების ალბათობა.

მიუხედავად ყველაფრისა, ასეთი პროექტები ქვეყნისთვის ძალიან კარგია, თუ ისინი რეალურია და ადგილი არა აქვს თაღლითობას, ადგილობრივი ჩინოვნიკების პირად ინტერესებს.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ საპარტნიორო ფონდი თანადაფინანსებას და პარტნიორობას უწევს უცხოელ ინვესტორებს საქართველოში მსხვილი, ათობით და ასობით მილიონიანი პროექტების განხორციელებაში, არის მილიარდდოლარიანი პროექტიც. ეს კომპანიები თავისი პროდუქციის უდიდესი ნაწილის რეალიზებას საქართველოში მოახდენენ და მოგების სახით ქვეყნიდან გაიტანენ დიდი ოდენობით უცხოურ ვალუტას.

მარტო ბოლო პერიოდში საპარტნიორო ფონდის თანადაფინანსებით დაფინანსებული უცხოური ინვესტორებით შექმნილი კომპანიების წყალობით, უახლოეს 3-4 წელიწადში, შიდა სავალუტო ბაზარზე, უცხოურ ვალუტაზე დამატებითი მოთხოვნა ყოველწლიურად 350 – 400 მილიონ დოლარამდე გაიზრდება, რაც ლარის დევალვაციის წყარო გახდება, მნიშვნელოვნად გაზრდის ინფლაციას და კიდევ უფრო მეტად დაამძიმებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას.

არსებული ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას და დევალვაციას. მერე გვიკვირს, რა მოსდის ლარს, რატომ ხდება მისი დევალვაცია და მთავრობა რატომ იშვერს საქართველოს ეროვნული ბანკისკენ (სებ) ხელს, ხოლო სებ-ი მთავრობას აბრალებს ყველაფერს!

სინამდვილეში ორივე დამნაშავეა იმაში, რაც ქვეყანაში ხდება, ანუ მოსახლეობის სოციალური პირობების ყოველწლიურად გაუარესებაში. ორივე ერთად ატარებს იმ ეკონომიკურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რაც ამძიმებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. სებ-ი დამნაშავეა იმაშიც, რომ არ აკონტროლებს მთავრობის ეკონომიკურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას და არ ეწინააღმდეგება იმ პროექტების განხორციელებას, რაც იწვევს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, პირიქით, თვითონ სებ-იც აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესში და მიზანი და პოლიტიკაც სწორედ ესა აქვს, ეროვნული ვალუტის გაუფასურება – „ინფლაციის თარგეტირება“.

ამ პოლიტიკის და შესაბამისი სებ-ის პოლიტიკის მიხედვით, 2020 წელს და შემდგომ ინფლაცია უნდა აღმოიფხვრას. თუ ეს ასეა, იმასაც ნიშნავს, რომ 2020 წელს და შემდგომ აღარ მოხდება ლარის დევალვაცია, იმიტომ, რომ ლარის დევალვაცია იწვევს იმპორტულ პროდუქციაზე ფასების ზრდას და ინფლაციას.

ამ ლოგიკას თუ მივყვებით, 2020 წელს, სულ ცოტა, დადებითი საგარეო სავაჭრო ბალანსი უნდა გვქონდეს, რაც დღესვე ნათელია, რომ ფანტაზიაა და სხვა არაფერი. აქედან გამომდინარე, „ინფლაციის თარგეტირების“ პოლიტიკა დიდი ავანტიურაა და სხვა არაფერი.

დავუბრუნდეთ უცხოურ ინვესტიციებს და საპარტნიორო ფონდის პოლიტიკას.

უცხოური ინვესტიციების საფრთხეები და ქვეყნის ეკონომიკაზე და სოციალურ პირობებზე დამანგრეველი მოქმედება ჩვენ უკვე დაწვრილებით განვიხილეთ 2016 წელს სტატიაში „ყველაზე უჩინარი და საშიში საფრთხე, რომელიც ქვეყანას ემუქრება“ http://iverioni.com.ge/16288-yvelaze-uchinari-da-yvelaze-didi-safrthkhe-romelic-qveyanas-emuqreba.html).

სტატიაში კარგად ჩანს, რომ უცხოურ ინვესტიციას დადებითთან ერთად, მრავალჯერ უფრო მეტი უარყოფითი შედეგები მოაქვს. უცხოელი ინვესტორების ყოველწლიურად გასატანი მოგება მუდმივ წნეხში ამყოფებს ეროვნულ ვალუტას. როცა ეროვნული ვალუტა ამ წნეხს ვეღარ უძლებს, ხდება ეკონომიკური „კოლაფსი“ და ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუარესება და ახალ, უფრო დაბალ სოციალურ დონეზე დასტაბილურება ახალ, მომავალ ეკონომიკურ კოლაფსამდე. ასე გრძელდება გამუდმებით და ასე გაგრძელდება, თუ არ შეიცვალა არსებული ქვეყნის დამანგრეველი ეკონომიკური პოლიტიკა.

როგორც ვხედავთ, საპარტნიორო ფონდი არსებული პოლიტიკით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მომხდარ და მოსალოდნელ ეკონომიკურ კოლაფსებს და ქვეყნის ეკონომიკის და სოციალური მდგომარეობის გაუარესებას.

მთავრობისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა „პანაცეაა“, არსებულ შეღავათებს ბოლოს ისიც მოჰყვა, რომ უცხოელ ინვესტორს ფულსაც ჩვენ ვაძლევთ ჩვენივე ქვეყნის დასაქცევად. მთავრობის მიზანი უნდა იყოს ეკონომიკური განვითარება და სოციალური მდგომარეობის მუდმივი გაუმჯობესება. ყველაფერი, რაც ამას ხელს უშლის, მთავრობამ უნდა აღმოფხვრას, ხოლო, რაც ხელს უწყობს, ყოველმხრივ დაეხმაროს.

აი, ეს უნდა იყოს მთავრობის მიზანი და ეკონომიკური პოლიტიკა!

ნასყიდა დარგუაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

◎ მშენებლობები ვერეს ხეობაში

რა მოხდება წყალმოვარდნის შემთხვევაში?

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და ეროვნული სეისმური ცენტრის დირექტორი აცხადებს, რომ ვერეს ხეობაში, დატბორვის არეალში გაცემულია სამშენებლო ნებართვები, რაც არის კატასტროფა. თეა გოდოლაძის თქმით, მდინარის ჭალაში მშენებლობები დაუშვებელია.

გოდოლაძემ ვარაზისხევში, ჟვანიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევა და მოდელირებული ვიდეო წარმოადგინა და განაცხადა, რომ მარჯვენა ფერდზე არსებული გრუნტი არასტაბილურია, მთის ფერდის ძირი უკვე მოჭრილია და არსებობს მეწყრული პროცესების გააქტიურების დიდი ალბათობა. მისი თქმით, მდინარის ჭალაში სამშენებლო პროცესის გაგრძელების შემთხვევაში წყალმოვარდნის განმეორების დროს უარესი შედეგი იქნება, ვიდრე 2015 წლის 13 ივნისს იყო.



გოდოლაძე მიიჩნევს, რომ საჭიროა გამკაცრდეს რეგულაციები გეოტექნიკურ კვლევებთან დაკავშირებით.

„გამოსავალი არის რეგულაციებში. გეოტექნიკური კვლევების ავტორებს უნდა გააჩნდეთ პასუხისმგებლობა იმაზე, რასაც აწერენ ხელს. უნდა მიმდინარეობდეს მათი საქმიანობის ლიცენზირება საერთაშორისო მექანიზმებით იმიტომ, რომ ნეპოტიზმს აქვს ადგილი ამ სფეროში, რადგან ყველა ყველას იცნობს. ერთმანეთის ხათრით არ საუბრობენ მოსალოდნელ პრობლემებზე. ის იმის მეგობარია, ის იმის ახლობელია და ერთმანეთს უმაგრებენ მხარს. ხმას არავინ არ იღებს და ყველა ყველაფერს აწერს ხელს. ასე არ შეიძლება, კატასტროფამდე მიგვიყვანს ასე გაგრძელება“, – განაცხადა თეა გოდოლაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

მოდის მეოთხე ტალღა, რომელიც წინა ტალღებზე ათჯერ და ასჯერ ძლიერიც შეიძლება იყოს!

2005 წელს ორი მოზარდის დაღუპვის გამო მთელი საფრანგეთი ფეხზე დადგა. 2006 წელს სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ მისი დედა ირინა ენუქიძე ითხოვდა, საზოგადოება გვერდში დადგომოდა, მაგრამ საზოგადოება მხოლოდ ფარულად თანაუგრძნობდა, რაც იმდროინდელი რეჟიმით აიხსნებოდა — ხალხს საკუთარი პოზიციის აშკარად გამოხატვის ეშინოდა. ამჯერად თანატოლებს შორის დაპირისპირებას შეწირული ორი მოზარდის ტრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა. თუმცა მიმდინარე მოვლენებმა გააჩინა კითხვა, ეს იყო აქციები პოლიტიკური ელფერით, თუ საზოგადოების გულწრფელი აღელვება, რომელსაც ვაიპოლიტიკოსთა გამოჩენა ჩრდილს ვერ მიაყენებს? ამის შესახებ ანალიტიკოსი ვაშა ბერიძე გვესაუბრება.

— ბოლოდროინდელ საპროტესტო აქციებს პოლიტიკურმა ელფერმა მძიმე დაღი დაასვა. თუმცა პოლიტიკური ნარატივის გარეშე იქ იდგნენ ადამიანები, რომლებიც ღირსებისა და სამართლის აღდგენას მოითხოვდნენ. რა კონდიციამდე მივედით - ხალხს აღარ ეშინია საკუთარი პოზიციის გამოხატვის, თუ რეალურად შედგა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც არ უშინდება არაფერს და შვილმოკლული მამის ტრაგედიას აშკარად იზიარებს? სამოქალაქო საზოგადოების ასეთ აქტივობას უმართავი პროცესები ხომ არ მოჰყვება და მთლიანი საქართველო ხომ არ გადაჰყვება?

— თუკი სამოქალაქო საზოგადოებად ჩვენ მივიჩნევთ ყველაფრის დასაშვებობას, მივიჩნევთ პროტესტის ქუჩაში გამოხატვის ნორმად გადაქცევას, ამ თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოება, პრინციპში და არსებითად, მიუღებელი აღმოჩნდება ჩვენი რეალობისთვის. ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების რაღაც ეტაპზე შეიძლება ქუჩაში აქციების გზითაც წყდებოდეს საკითხები, მაგრამ ეს არის უკიდურესი საქციელი. ამის წესად ქცევა, მით უმეტეს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი სამი ათეული წლის განმავლობაში, ეს არის არა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ნიშანი, არამედ სახელმწიფოს შეუმდგარობის მაჩვენებელი. ამიტომ აღმატებულ ხარისხში ამ აქციებს ვერ განვიხილავ.

ნორმალურ ქვეყანაში, რომელსაც მიაჩნია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებას წარმოადგენს, შესაბამისი ინსტიტუტების, პოლიტიკური პროცესის, მედიის, არასამთავრობო სექტორის მეშვეობით უნდა ხდებოდეს თვალსაზრისების შეჯერება და საყოველთაოდ მიღებული პოზიციების დადგენა. ასე ხდება ყველგან, სადაც დემოკრატიაა. და პროტესტი და აქცია გადაზრდილი ამბოხში დამახასიათებელია განუვითარებელი დემოკრატიებისთვის, ან კიდევ, ავტორიტარული რეჟიმებისთვის, როცა სხვა გზა არ არსებობს.

ეს აქციები, რომლებსაც „შვილმოკლული მამების აქციას“ დავარქმევდი, მაშინვე გადაიზარდა „ერთიანი ნაცმოძრაობის“ აქციაში. ამაშიც დაუშვებელს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ საგნებს დაერქვას თავისი სახელი. თორემ ჩვენ ვიქნებით ბინდში მობორიალე არსებები. ეს უფრო პოლიტიკური პროცესის შეჩერების, შეყოვნების, დასაჭურისების შედეგია, რომელიც მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს. მოდით, გავუწიოთ კეთილი სამსახური ამ ქვეყნის ფაქტობრივ მმართველს და აღვნიშნოთ, რომ მის ხელთ არსებული ჭარბი ავტორიტეტი, ჭარბი ნდობა, ჭარბი ფინანსური რესურსი ამ გამჭრიახმა ადამიანმა მიმართა იქითკენ, რომ საზოგადოებას დრო უსაგნო პოლიტიკური ყბედობისთვის არ დაეთმო, არ მომხდარიყო პოლიტიკური თემების ზედმეტად აჟიტირება და საქმის კეთებით დაკავებულიყო მთავრობა, ხელისუფლება, პარლამენტი. ამისთვის ბიძინა ივანიშვილმა ყველაფერი გააკეთა. თუ გახსოვთ, ერთი პერიოდი, იხურებოდა პოლიტიკური თოქ-შოუები, მიმდინარეობდა ფარული და ღია მცდელობები მედიასაშუალებების, პოლიტიკური პარტიების პირდაპირი ან ირიბი დაქვემდებარებისთვის. ცხადია, ამას შედეგად მოჰყვებოდა პოლიტიკური პროცესის შეჩერება და მოჰყვა კიდეც, რამდენადაც, რასაც მმართველი ძალა დღეს ვერ აკონტროლებს, ეს არის „ერთიანი ნაცმოძრაობა“ და „რუსთავი-2“.

თუმცა არც ის არის გამორიცხული, მალე ივანიშვილმა ისინიც გააკონტროლოს. ეს კიდევ უფრო მძიმე მოცემულობა იქნება ჩვენს სინამდვილეში. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პროცესი რომ გაჩერდა, ამ ყველაფერმა გადაინაცვლა სიღრმეში, საზოგადოებაში ჩაიმალა პრობლემები.

ამის პირველი ნიშანი იყო ბათუმის არეულობა, როდესაც იქაური პოლიციის შერიფის განცხადებებით უკმაყოფილო ხალხი ქუჩაში გამოვიდა. იქაც დატრიალდნენ „ნაციონალები“ და შეეცადნენ, მიმართულება მიეცათ ამბოხებისთვის, მაგრამ მაშინ ხელისუფლებამ და შს ორგანოებმა ვირტუოზულად იმუშავეს, შეცდომა არ დაუშვეს, თორემ იქ თავისუფლად შეიძლებოდა, ადამიანები დაღუპულიყვნენ, რაც აბსოლუტურად უმართავ პროცესებში გადაიზრდებოდა ქვეყნის მასშტაბით. იმ პერიოდში თბილისშიც იდგნენ გარკვეული პოლიტიკოსები და ელოდნენ ხალხის ტალღას იქაური პროტესტის კვალობაზე, ასევე ხდებოდა ქუთაისში, ფოთში, თელავში. მაშინ მე, როგორც ერთმა მოქალაქემ და ანალიტიკოსმა, მივუთითე ივანიშვილს და მის ირგვლივ შემოკრებილ პოლიტიკოსებს, რომ ეს სახიფათო ნიშანი იყო, მაგრამ ყურად არ იღეს. ეს პროცესი დღემდე გრძელდება. ახლახან ჩვენ ვნახეთ ნარკომომხმარებელთა აქცია, რომელსაც უპირისპირდებოდნენ ფაშისტები. ჩემი აზრით, ეს ორივე უკიდურესობა მიუღებელია, რადგან თავისუფლება არ ნიშნავს ყოვლის დასაშვებობას და აღვირახსნილობას, მაგრამ, ამავე დროს, კატეგორიულად მიუღებელია ფაშიზმი, ნებისმიერ საბურველში გახვეული. აქაც დიდი ტალღა წამოიკიდა ამ პროტესტმა, რადგან ნარკოტიკებს ჩვენში ბევრი მოიხმარს. ამ ამბავს მე და ჩემი კოლეგები ისევ გამოვეხმაურეთ და ისევ მივუთითეთ ხელისუფლებას, რომ ეს სახიფათო ტენდენცია იყო და პოლიტიკური პროცესი უნდა განახლებულიყო ქვეყანაში, რადგან არ შეიძლებოდა, ერთი მხრივ, ყოფილიყო თავის ლიდერთან ერთად ყველაფრის გამაკონტროლებელი საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე „ქართული ოცნება“, ხოლო, მეორე მხრივ, მის საპირწონედ ყოფილიყო ცხრაწლიანი მმართველობის უმძიმესი პრაქტიკით სახელგატეხილი „ნაცმოძრაობა“, როგორც ერთადერთი რეალური ალტერნატივა.

მიშა სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ბიძინა ივანიშვილს მაშველ რგოლად თუ გამოადგება უკიდურესი გაჭირვების პირობებში, სხვად არაფრად. თუკი მიშა სააკაშვილი რეალურად ჩაერთვება ქართულ პოლიტიკაში, ის 27%-იც, რომელიც ამ გამოკითხვაში „აი-რაი“-მ დაუწერა „ქართულ ოცნებას“, წამსვე გახდება 54 და 60%, იმდენად დიდია ქართველი საზოგადოების მხრიდან საკაშვილის მიუღებლობა. თუმცა საკაშვილს სტაბილურად ჰყავს ამავე ქართველი საზოგადოების 20% მხარდამჭერები. ასე რომ, როდესაც ყველაფერი კონტროლდება მმართველი ძალის მიერ (პოლიტიკური სპექტრი, მედია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამოქალაქო სექტორი), სხვა რამეს არც უნდა ველოდოთ.

ხელისუფლებამ არც ბათუმის გაკვეთილიდან გამოიტანა დასკვნა, არც „თეთრი ხმაურისა“ და ფაშისტების დაპირისპირებიდან. ახლა უკვე მივიღეთ მესამე ტალღა. ვარწმუნებ ხელისუფლებას, თუ ახლაც რეალურად არ შეაფასებს ვითარებას, ამას მოჰყვება მეოთხე ტალღა, რომელიც წინა ტალღებზე ათჯერ და ასჯერ მეტიც შეიძლება იყოს და პოლიტიკურად ფატალურად დასრულდეს დღევანდელი ხელისუფლებისა და მისი ლიდერებისთვის.

— მეოთხე ტალღა „ნაციონალების“ მედროშეობით წამოვა?

— რეალურად არ ვიცი, ვინ ჩაუდგება სათავეში მეოთხე ტალღას. სულაც არ არის აუცილებელი, ესენი იყვნენ „ნაციონალები“, შეიძლება, ეს იყოს ხელისუფლებასთან გარკვეულ ფარულ ალიანსში მყოფი „ევროპული საქართველო“, ან პრორუსულად მოაზრებული რამდენიმე პარტია, მაგრამ რეალურად ასეთი ძალა გამოჩნდება. თუნდაც ახლა ბრიუსელში რომ არ ვიაროთ, გავიხსენოთ, რა მოხდა სომხეთში? პაშინიანი გამოვიდა ქუჩაში, მისი პარტიული კუთვნილება პარლამენტში მცირერიცხოვან დეპუტაციას წარმოადგენდა და არანაირად არ იყო გადამწყვეტი, მაგრამ პაშინიანი პიროვნულად გახდა მედროშე ამ პროტესტის, მან გადააყენა პრემიერი, შეცვალა მთავრობა, მერე გართულების ასაცილებლად თავისი პრორუსულობა და სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან დააფიქსირა. რეალურად თითქოს არც ჩანდა არანაირი საფრთხე სერჟ სარგსიანისთვის, მაგრამ პაშინიანმა ეს ყველაფერი შეცვალა. აქაც დაახლოებით ამდაგვარი მოხდება, რაღაც ტალღა დაიძვრება, რომელიც ბევრ რამეს წალეკავს.

ბიძინა ივანიშვილმა იცის, რა პრობლემებიც დგას ქვეყნის წინაშე, პატრიოტი და ეროვნული კაცია და სურს, სიკეთე გაუკეთოს ქვეყანას, მაგრამ რა გზითაც ის მიდის, ეს საფრთხის შემცველია როგორც ივანიშვილის ხელისუფლებისთვის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის. ამის გაზიარება და გააზრება მმართველ გუნდს არ შეუძლია. თუმცა რომელ მმართველ გუნდზე ვსაუბრობ, როცა მმართველი გუნდი არის თვითონ ივანიშვილი, რომელიც ყველა გადაწყვეტილებას პრინციპულად იღებს. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, პერსპექტივა უფრო რეალურად დაენახა ბიძინა ივანიშვილს და მის მრჩევლებს. ალბათ, მას ჰყავს მრჩევლები, რომელთაც მე, მართალი გითხრათ, არ ვიცნობ. სიტუაციის გადარჩენის შანსი მათ კიდევ აქვთ და შეუძლიათ, ვადამდელი არჩევნები დანიშნონ.

შესაძლოა, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გაერთიანდეს და დაინიშნოს 2019 წლის გაზაფხულზე. ასეთ შემთხვევაში, ივანიშვილს აქვს შანსი, ისევ შესთავაზოს ქვეყანას პერსპექტივის ხედვა და ამცნოს, რატომ ვერ გააკეთა ის, რაც ვერ გააკეთა და რის გაკეთებას აპირებს მომავალში. ასეთ შემთხვევაში, ის 27% შეიძლება ავიდეს 54%-მდე, რაც საკმარისია ხელისუფლებაში დარჩენისთვის, მაგრამ, თუ ახლა ისევ დროის გაყვანას შეეცდება ხელისუფლება, მისი რეიტინგი კიდევ უფრო დაქვეითდება და რომელიმე მომდევნო ტალღა სერიოზული უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება ქვეყნისთვის.

— თუკი, მოკლულის მამის თქმისა არ იყოს, მტკიცებულებები გაყალბებული და გამქრალია, მაშინ უცხოელების ჩამოყვანა აზრს კარგავს?!

— ამასაც შეფასება სჭირდება. მტკიცებულებები ისეა გაყალბებული, რომ შეუძლებელია სიმართლის დადგენა, თუ იმის გამოა არასრულყოფილი, რომ გარკვეული დრო გავიდა მომხდარი ფაქტიდან? გარდა ამისა, გასაჭირში ჩავარდნილი ჩვენი მართლმსაჯულება ერთია, მაგრამ მეორეა ქართული მენტალიტეტი. ორი ახალგაზრდა მრავლობითი ჭრილობით დაიღუპა, ამ ჩხუბში ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობდა, მაგრამ ამ მასობრივი ინციდენტის მონაწილე პირთაგან არავინ იძლევა ფაქტობრივ ჩვენებას. ბრალდებულებიც იყენებენ დუმილის უფლებას, რაც მათ კონსტიტუციურად აქვთ მინიჭებული. ასეთ პირობებში ძალიან ძნელია, გამოძიებამ რეალური სურათი დაადგინოს.

ქართველებს დიდი ისტორია და კულტურა კი გვაქვს, მაგრამ, გარკვეულწილად, გვაქვს მენტალიტეტი, რომელიც მეზობლობს კრიმინალურთან. თუ ქართველმა დაინახა, რომ მეორე მოქალაქეს დაარტყეს დანა, ფიქრობს, რა ჩემი საქმეა, ჩავუშვა? ჩაშვების ინსტიტუტის მიუღებლობა აქვს ქართულ მენტალობას. თუმცა, თუკი სიმართლეს იტყვის, რამდენად დაცული იქნება სიმართლის მთქმელი? ჩვენ მართლაც ბევრი პრობლემა გვაქვს.

სუვერენიტეტი იმიტომ გვჭირდება, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, სამართლიანად განვსაჯოთ ყველაფერი და ავტორიტეტული იყოს ყველა ადამიანი, ვინც სამართალდამცავ სფეროში მოღვაწეობს, განსაკუთრებით, რეზონანსულ საქმეებთან მიმართებით. ამაზე დღევანდელი ხელისუფლება ვერ ზრუნავს, ან ნაკლებად ზრუნავს უუნარობის გამო.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲦᲐᲠᲘᲑᲓᲔᲑᲐ!!!

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ **დამოუკიდებელი კვლევით, გამოკითხვითა და ემპირიული დაკვირვებით დასტურდება, რომ სოციალური ფონი ქვეყანაში გაუარესებულია და ეს ოჯახების მატერიალურ მდგომარეობაზეც აისახება. პარადოქსი ისაა, რომ ეკონომიკა იზრდება და თანაც დაგეგმილზე მეტად, მაგრამ ცხოვრების დონე ეცემა, ხოლო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უარესდება. სამწუხაროდ, იზრდება უთანასწორობის მაჩვენებელიც.**

2018 წლის აპრილის მდგომარეობით ეკონომიკურმა ზრდამ 6,5%-იც კი შეადგინა, თუმცა ეს ვერაფერი ნუგეშია ხელმოკლე ფენისთვის, რომელიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს.

„საქართველოში ეკონომიკა იზრდება, თუმცა ეს მოსახლეობაზე თანაბრად არ აისახება ყველა ფენაზე. მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისთვის მდგომარეობა უმჯობესდება, გარკვეული ჯგუფებისთვის კი იგივე რჩება ან უარესდება. შესაბამისად, მშპ-ს ზრდა მოსახლეობის ყველა ფენის კეთილდღეობის ზრდას არ ნიშნავს“, —აცხადებს სტატისტიკოსი **სოსო არჩვაძე.**

მისი თქმით, საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები აბსოლუტურად არაერთგვაროვანია, ზოგ დარგში მოხდა ზრდა, ზოგან კი, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, შემცირდა.

„იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია, ამ დარგში შექმნილი დამატებითი ღირებულების შემცირება პირდაპირ აისახება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლებსა და კეთილდღეობაზე. ანუ, იმ ადამიანებზე ვისი შემოსავლების დიდი ნაწილიც აგრაგული სექტორიდან, კერძოდ, სოფლის მეურნეობით ყალიბდება“, — აცხადებს სოსო არჩვაძე.

მისივე თქმით, საქართველოში სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია: **„იმისთვის, რომ ქვეყანაში სოციალური სტაბილურობა გვქონდეს, ანუ შემოსავლების მხრივ მდიდრებსა და ღარიბებს შორის ამხელა განსხვავება არ იყოს, ჯინის კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს, 28-32-ს“,** — აცხადებს „ბიპიენთან“ სტატისტიკოსი.

2017 წელს ჯინის კოეფიციენტი 0,1-ით გაიზარდა და 41-ის ნიშნულს მიაღწია. ამ კოეფიციენტის ზრდა ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში შემოსავლების მიხედვით, სოციალური უთანასწორობა გაზრდილია.

ღარიბთა რაოდენობის ზრდას ადასტურებს აკადემიკოსი **ავთო სილაგაძეც**. მისი ვარაუდით ყველაზე მოწყვლად ფენას მოსახლეობის კიდევ 5% შეემატა. ეს დამატებით პრობლემას უქმნის ქვეყანას.

„ნ წლის განმავლობაში მოსახლეობის ძირითადი მასის შემოსავალი მოცულობაში არ შემცირებულა, მაგრამ სავალუტო რყევების გამო მისი მსყიდველუნარიანობა შესუსტდა. აქედან გამომდინარე, გარკვეული კატეგორიისთვის მატერიალური მდგომარეობა გაუარესებულია. დასაქმების მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს არა საჯარო სექტორში, არამედ ბიზნესის დარგში, რაც გააუმჯობესებს ვითარებას. სხვა გამოსავალს ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

სავარაუდოდ, 5%-ის ფარგლებშია იმ ოჯახების რიცხვი, რომლებიც ღარიბ-ღატაკთა ფენაში გადავიდნენ. ძალიან დიდი მცდელობა გვინდა, რომ ვითარება გამოსწორდეს. ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დასაქმება და იმავდროულად ლარის გამყარება, რისი გამოკვეთილი ნიშნები ჯერჯერობით არ გვაქვს. ამდენად, სარისკოა თქმა, რომ ვითარება უახლოეს პერიოდში გამოსწორდება, საკმაოდ რთული მდგომარეობაა“, — აღნიშნა **ავთო სილაგაძემ.**

ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲑᲔᲥᲐᲣᲠᲘ

ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ

ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ **მმართველ კომპანიასა და ავიაგადამზიდავებს შორის ვითარება ძალიან იძაბება. „ჯორჯიან ეარვეისმა“ „ტავ ურბან ჯორჯიას“ საქართველოდან გასვლის მოთხოვნით მოსალოდნელი აქციაც დააანონსა.** ავიაკომპანიამ საგანგებო განცხადება გაავრცელა და მოსახლეობას თანადგომისკენ მოუწოდა. როგორც მიმართვაშია ნათქვამი, მათი პროტესტის მიზეზი ავიაბილეთების ფასების შემცირებასთან დაკავშირებით, „ტავ ურბან ჯორჯიასთან“ უშედეგო მოლაპარაკებები გახდა.

> **„მოგეხსენებათ, რომ ჩვენ უკვე წელიწადზე მეტია, ვცდილობთ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მმართველ თურქულ კომპანიასთან, „ტავ ურბან ჯორჯიასთან“ მოლაპარაკებას ავიაბილეთების გაიაფებასთან დაკავშირებით, რამაც შედეგი არ გამოიღო. სამწუხაროდ, სხვა გზა არ დაგვრჩა და იძულებულები ვართ, გთხოვოთ გვერდში დგომა, რომ ვაიძულოთ „ტავ ჯორჯია“ გავიდეს საქართველოდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გააგრძელებენ ჩვენი აეროპორტების მართვას მინიმუმ 2027 წლამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე კვირის ბოლოს ვგეგმავთ საპროტესტო აქციის გამართვას თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე და მოგიწოდებთ თანადგომისაკენ“,** — ნათქვამია ავიაკომპანიის განცხადებაში.

ავიაკომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ხელისუფლება უძლურია, ამიტომ ძვირად ღირებული ბილეთების წინააღმდეგ ბრძოლა მომხრეებთან ერთად მოუწევს. მათი აზრით, „ტავის“ მომსახურებით, ფასები ხელოვნურად არის გაზრდილი, თავად კლიენტებს კარგავს, ხალხი კი ორმაგ ფასს იხდის.

აეროპორტის თურქული ოპერატორი სწრაფადვე გამოეხმაურა „ჯორჯიან ეარვეისის“ განცხადებას და აღნიშნა, რომ ავიაკომპანია კვლავ აგრძელებს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და არასწორი ინფორმაციის გავრცელებას.

„2017 წლის სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ეკონომიკური განვითარების ანგარიშის მიხედვით ბილეთის ღირებულებაში აეროპორტის სერვისების (უსაფრთხოება, სახმელეთო მომსახურება, აეროდრომისა და აფრენა-დაფრენის სერვისები) ხარჯის მხოლოდ 25%-ია წარმოადგენილი, (აქედან სერვისის დიდ ნაწილს ავიაკომპანია თავად უზრუნველყოფს) დანარჩენი 75% კი ავიაკომპანიის ძირითადი ხარჯებია.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მიმართულება, რომელსაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან „ჯორჯიან ეარვეისთან“ ერთად სხვა უცხოური ავიაკომპანიებიც ასრულებენ. მოსკოვისა და კიევის მიმართულებით „ჯორჯიან ეარვეისის“ ბილეთის ღირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე „აეროფლოტის“, „პობედას“ და „უკრაინის ავიახაზების“ შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი უცხოური ავიაკომპანიები არ სარგებლობენ ანალოგიური სპეციალური ფასდაკლებებით, მეტიც „ჯორჯიან ეარვეისისგან“ განსხვავებით, მათ ყველა სახმელეთო მომსახურებას „ტავ ჯორჯია“ უწევს.

აქვე გვინდა, განვმარტოთ, რომ „ჯორჯიან ეარვეისის“ შემთხვევაში ორმხრივი (გაფრენა-მოფრენა) ბილეთის ღირებულებიდან „ტავის“ წილი, საშუალოდ, 33 დოლარს შეადგენს. ეს ყოველივე ნათლად ასახავს, რომ „ჯორჯიან ეარვეისი“ მიზანმიმართულად ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და „ტავ ჯორჯიას“ დისკრედიტაციას“, — აცხადებს აეროპორტის ოპერატორი.

ავიაკომპანიების წარმომადგენელთა შეფასებით კი მაღალი სატარიფო პოლიტიკის გამო თბილისის აეროპორტის განვითარება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ავიაკომპანია „ეარ კავკასუსის“ პრეზიდენტი **გიორგი კოდუა** აცხადებს, რომ „ტავ ჯორჯიას“ მენეჯმენტის პირობებში დღეს მარტო თბილისის აეროპორტი წელიწადში 3 მლნ მგზავრს ემსახურება და რომ არა „ტავ ჯორჯია“, 10 მლნ მგზავრი ეყოლებოდა.

„სატარიფო პოლიტიკა, რომელიც აეროპორტს აქვს, არის ზემაღალი. გამორიცხულია ჩვენი ასე განვითარება, რადგან ხდება ფასების ფილტრაცია. ავიაკომპანიები როცა ეძებენ აეროპორტს, სადაც ოპერირების სურვილი აქვთ, თბილისს გვერდს უქცევენ სწორედ მაღალი სატარიფო პოლიტიკის მომიზეზებით.

ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია იაფი ფრენა, რაც „ტავ ჯორჯიას“ პირობებში შეუძლებელია, რადგან აეროპორტიდან უნდა სრულდებოდეს პირდაპირი რეისები და მოქმედებდეს იაფი ტარიფი“, — აღნიშნა გიორგი კოდუამ.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ 6414 ᲚᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **პარლამენტის დეპუტატები ახალი რეგლამენტის დამტკიცების შემთხვევაში გაზრდილ ხელფასს მიიღებენ. უმრავლესობის მიერ შემუშავებული რეგლამენტის პროექტით დეპუტატის საბაზო ხელფასი 2.3-ჯერ გაიზრდება და 4624 ლარს შეადგენს.**

ამ ეტაპზე კი პარლამენტის წევრის შრომითი გასამრჯელო, რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. კერძოდ საბაზო თანამდებობრივი სარგო — 2000 ლარის ოდენობით, 1790 ლარი სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებლად და პარლამენტის თანამდებობების სპეციალური გასამრჯელოები. შემდგომში კი რიგითი დეპუტატი მიიღებს ყოველთვიურად 4624 ლარს და ასევე 1790 ლარს სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებლად. ანუ რიგითი დეპუტატის ხელფასი 6414 ლარი გახდება.

ვის როგორ გაეზრდება ხელფასი ახალი კანონის მეშვეობით:

პარლამენტის თავმჯდომარე — 5905 ლარის ნაცვლად, თვეში 8529 ლარს აიღებს.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე — 5570 ლარის ნაცვლად, 8194 ლარს აიღებს.

უმრავლესობის ლიდერი — 4705 ლარის ნაცვლად, 7329 ლარს აიღებს.

კომიტეტის თავმჯდომარე — 4705 ლარის ნაცვლად, 7329 ლარს აიღებს.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — 3970 ლარის ნაცვლად, 6594 ლარს აიღებს.

თუმცა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი კახიანის განმარტებით, პარლამენტის წევრთა ხელფასების ზრდა არ იგეგმება და ამაზე საუბარიც არ ყოფილა. „უფრო მეტსაც გეტყვით, 2012 წლის შემდეგ, მას შემდეგ რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, პარლამენტის წევრთა ხელფასი არც ერთი თეთრით არ გაზრდილა“, — განაცხადა გიორგი კახიანმა.

დეპუტატის ხელფასი არ იზრდება, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა. მისი თქმით, ამ საკითხზე დეზინფორმაცია ვრცელდება. „საქართველოს პარლამენტის დეპუტატის ხელფასის მატებასთან დაკავშირებით ვრცელდება დეზინფორმაცია. დეპუტატის ანაზღაურება არც ერთი თეთრით არ იზრდება“, — განუცხადა ჟურნალისტებს არჩილ თალაკვაძემ.

მორიგი „სპექტაკლი“ რუსეთის წინააღმდეგ

უკრაინაში მცხოვრები რუსი ჟურნალისტის ბაბჩენკოს მკვლელობის და გაცოცხლების ამბავმა მთელი მსოფლიოს მედია მოიარა და ისეთივე სისწრაფით დასამარდა, როგორც უკრაინის სპეცსამსახურების მიერ უკბილოდ გათამაშებული „ოპერაცია“.

ევროკავშირი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დაბეჯითებით მოითხოვენ უკრაინის ხელისუფლებისგან ახსნა-განმარტებას ამ „ოპერაციასთან“ დაკავშირებით. მათ აინტერესებთ, რას ემსახურებოდა სპეცსამსახურების ესოდენ „გონივრული“ ოპერაცია და რატომ აუნთო მას მწვანე შუქი პრეზიდენტმა პოროშენკომ.

ამ ამბით რომ პოტენციურ რუს ქილერზე შეიძლებოდა გასვლა – ძნელად დასაჯერებელია. ტელეკამერების თანდასწრებით დაჭერილი „ვიღაც“, გარკვეული თანხის გადახდით რომ ცდილობდა პრორუსი მკვლელის დაქირავებას ბაბჩენკოს ლიკვიდაციისთვის – სიმართლის შემთხვევაშიც კი ბევრისთვის დაუჯერებელია.

ბაბჩენკო ის ჟურნალისტი არ არის, რომლის ლიკვიდაციაც შვებად მოევლინებოდა პრეზიდენტ პუტინს. რუსეთის ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის ნაწილი გაჯერებულია ანტირუსული, ანტიპუტინური სულისკვეთებით. ტელეკომპანია „დოჟდი“, RTVI, რადიო „ეხო მოსკვი“, სხვა ტელეკომპანიები დაბეჯითებით ლანძღავენ რუსეთის პრეზიდენტს, ხელისუფლებას, მაგრამ მათთვის ხელი არავის დაუკარებია.

არკადი ბაბჩენკო

ცილისმწამებლური, ფალსიფიცირებული თოქ-შოუებისა და დიალოგების შემდეგ, რომელთა მსვლელობისას ადიდებულ მდინარესავით გადმოდის ტელეეკრანებიდან თავშეუკავებელი ლანძღვა-გინება, მართლაც უჩნდება ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს პროტესტის გრძნობა. მაგრამ რა გაეწყობა, თვით რუსეთის ხელისუფლება თვლის, რომ ეს არის დემოკრატია, საკუთარი აზრის დაფიქსირება, სიტყვის თავისუფლება.

აი, ასეთ ვითარებაში რუსი ჟურნალისტი, ცხადია სხვებთან შედარებით ნაკლებად ცნობილი, პუტინის გინების გამო რომ უკრაინას მიაშურებს, ვითომდა საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სრული დემაგოგიაა.

უკრაინა ის ნაკრძალია, სადაც ანტირუსობა უმაღლეს დონეზე ფასდება. ამ შემთხვევაში მივიღეთ ის, რასაც ჰქვია ე.წ. ჟურნალისტისა და უკრაინის სპეცსამსახურების მიერ ერთობლივად დადგმული სპექტაკლი – ერთობ მდარე ხარისხისა.

ბაბჩენკოს ამბავი უმალ ჩაესვენა, მაგრამ არცთუ უშედეგოდ. შედეგი – მომაკვდინებელი! როგორც სპეცსამსახურებთან შეკრული ჟურნალისტისთვის, ისე თვით სპეცსამსახურების, ხელისუფლების, პრეზიდენტისთვის. მათ თვითონ გამოუტანეს განაჩენი საკუთარ თავს და ქვეყანას - კატასტროფულად გაზარდეს კიევისადმი უნდობლობა, რომელიც ისედაც არსებობდა მსოფლიოს საზოგადოების მხრიდან. ვინ დაუჯერებს მათ?

ევროპელი და ამერიკელი პატრონებიც კი შეაშფოთა უკრაინულმა „ფეიკმა“ - ისინი ალბათ უფრო დახვეწილს ელოდნენ. დიახ, ისეთს, 20 საათზე მეტს რომ გაძლებდა. მაგალითად, სკრიპალების მსგავსს, ანდა სირიის ხელისუფლების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების მაგვარს, თუნდაც რუსეთის მიერ სამგზავრო თვითმფრინავის „ჩამოგდების“ ისტორიას. აღარაფერს ვამბობ რუსი ოლიმპიელების მიერ დოპინგის გამოყენებაზე.

სხვა მაგალითებიც ბევრია, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია კოლექტიური დასავლეთის „ფეიკის“ დემონსტრირებისთვის. ყველა მათგანმა 20 საათზე მეტი გაძლო და თქვენ წარმოიდგინეთ, დღესაც ძლებს – თავს გვახსენებს რა დასავლური მედიის დახმარებით. უნებლიეთ იბადება კითხვა – ნუთუ რუსეთის ხელისუფლება ისეთი ბოროტი, სისხლისმსმელი და ამტანია, რომ წლების განმავლობაში არაფრად აგდებდეს კოლექტიური დასავლეთის მხრიდან ტალახის სროლას?

დასავლური შეტევა რომ მარტო ტალახს ჯერდებოდეს, რაღა უჭირდა რუსეთს?

ტალახს ცხელ-ცხელი ეკონომიკური სანქციები მოჰყვება ხოლმე, რაც არა მარტო რუსეთზე მოქმედებს, არამედ თვით დამწესებელზეც. ევროკავშირმა სანქციების შედეგად 100 მილიარდზე მეტი დოლარი დაკარგა.

ზემომოყვანილი ფაქტები ნათელი დასტურია იმ ანტირუსული კამპანიისა, რასაც კოლექტიური დასავლეთი აწარმოებს მოსკოვის მიმართ. რატომ? – იმიტომ, რომ რუსეთი ისეთი არ არის, როგორსაც აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები ისურვებდნენ. რუსეთი იცავს საკუთარ სუვერენიტეტს, თავისუფლებას, რაც მას ძალიან ძვირი უჯდება – მარტო ბაბჩენკოს, სკრიპალების, თვითმფრინავის ჩამოგდების ბრალდების ატანა არ გინდა?!

რუსეთი იტანს, რითაც არა მარტო საკუთარ თავისუფლებას იცავს, არამედ სხვათა თავისუფლებასაც. წამიერად წარმოვიდგინოთ რუსეთი, ჩინეთი ან ირანი აშშ-ის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებად, რა სახე ექნებოდა მსოფლიოს?

პრიმიტიული, აშშ-ის ჰეგემონიის ქვეშ მყოფი მსოფლიო – ამერიკული ოცნებებით და ყოველივე ამერიკულით გაჯერებული, ანუ გლობალიზაცია ამერიკულად. ასეთ მსოფლიოში საშუალო და პატარა ქვეყნების ადგილი არ არის. ის ან უნდა გადაეშვას გლობალიზაციის დამღუპველ ჭაობში ან გაძლოს. მაგრამ, ვინ გააძლებინებს – კარზე მომდგარი დასავლელი მგლები?

ამიტომაცაა მისაღები და გასახარიც კი ძლიერი, საკუთარ პოზიციებზე მყარად მდგომი რუსეთის არსებობა. რა იქნებოდა სირია რუსეთის გარეშე? – ალბათ ის, რაც ერაყი, ლიბია, სხვა ქვეყნები, რომლებმაც ორ სკამზე ჯდომა ამჯობინეს, რამაც საბოლოო ჯამში ერთიც არ დაუტოვა.

ცინცხალი მაგალითი – ბულგარეთის პრეზიდენტის, შემდეგ პრემიერ-მინისტრის ვიზიტები მოსკოვში და პუტინთან მოლაპარაკებები. ეს, გამოფხიზლებული ბულგარეთია და არა ის, ამ რამდენიმე წლის წინათ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე უარი რომ თქვა და მას, აშშ-ის დაპირებების ლოკვა ამჯობინა. ლამის ბოლომდე მიყვანილი რუსული გაზსადენის მშენებლობა შეწყდა, რითაც ბულგარეთმა არა მარტო გაზი დაკარგა, არამედ სატრანზიტო ქვეყნის სტატუსიც. ის, რაც დღეს თურქეთთან მიმართებაში კეთდება, ბულგარეთში უნდა განხორციელებულიყო. იქიდან კი რუსული გაზი სამხრეთ ევროპას მიეწოდება.

არაო! ბრძანა ვაშინგტონმა და სოფიას სენატორი მაკკეინი ეწვია – თითის ქნევით და მაგიდაზე მუშტების ბრაგუნით. ბულგარეთს უარი ათქმევინეს რუსულ გაზზე. შედეგი?

ბულგარეთმა დაკარგა მარტო ტრანზიტისთვის ყოველწლიური 400 მილიონი ევრო და იაფი გაზი. დაუმთავრებელმა პროექტმა რუსეთიც აზარალა 800 მილიონი დოლარით. დღეს, გამოფხიზლებული ბულგარეთი პუტინს ეხვეწება – აღვადგინოთ ის, რასაც ვგეგმავდითო.

დავუბრუნდეთ უკრაინულ „სპექტაკლს“, რომელიც ოდნავ გონებაგახსნილ ადამიანში უმალ აღძრავს ამ ქვეყნის ხელისუფლების მიმართ ნეგატიურ განწყობას. უკრაინამ დასავლელი მასწავლებლებისგან გადაიღო მაგალითი, მერე რა რომ ისე არ გამოუვიდა, როგორც იმათ?

თუ ტყუილსა და ფალსიფიკაციაში დაოსტატებულ ინგლისს, აშშ-ს, სხვებს დადგმული სპექტაკლები არ გამოსდით, რა ჰქნას ცუდმა მოწაფე უკრაინამ?

მავანი მეტყვის – თავი დაანებოს ტყუილებს, დასავლეთის პირში ციცინს, რუსეთის გინებას და საკუთარი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობაზე იფიქროსო. კეთილი, მაგრამ ეს ხელისუფლება, ამერიკელებს რომ კარგი საქმისთვის არ მოუყვანია?

მიზანი მისი არის რუსეთისთვის მუდმივი პრობლემების შექმნა, ანტირუსული პლაცდარმის განმტკიცება და ა.შ. ამას კი უკრაინა სამაგალითოდ ასრულებს, ისე, როგორც თავის დროზე საკაკაშვილის ხელისუფლება. ბევრს აღარ ახსოვს ყოველდღიური „ტერორისტული აქტები“, რუსეთი რომ „გვიტარებდა“ იმჟამად. ვინ დაითვლის, რამდენი „ტერორისტული აქტი“ აღკვეთა საკაკაშვილის ხელისუფლებამ?!

მარტო ის „ვიღაც“ რად ღირს, აშშ-ის საელჩოს ღობესთან რომ ბომბი „დატოვა“?! სიცრუე იყო საკაკაშვილის და მისი ხელისუფლების მთავარი დამახასიათებელი. ის ამ მხრივ უკრაინასაც ჯობნიდა და დასავლელ მასწავლებლებსაც.

სხვა ვერაფერს იტყვი მამალ ტყუილზე – რუსეთის აგრესია რომ დაერქვა. მისი მიხედვით, ცხინვალში ომი რუსეთმა გააჩაღა და არა საკაკაშვილის რეჟიმმა. ამ ტყუილს დღესაც სიმართლედ გვიცხადებენ.

არადა, 2012 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ივანიშვილმა განაცხადა: **„მე, ვთვლი, რომ ჩვენი ხელისუფლება, პრეზიდენტის მეთაურობით იმ სიტუაციაში არაადეკვატურად მოიქცა. მე, ვთვლი, გაუმართლებელი იყო სამხედრო შენაერთების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა და საომარი მოქმედების დაწყება, მანამდე, ვიდრე რუსეთმა** გადმოკვეთა საზღვარი“.

დღეს კი რა ხდება? იმჟამინდელი სიმართლის ტყუილად წარმოჩენა და დაბეჯითებით მტკიცება, რომ ცხინვალის ომამდე რუსეთი სისტემატურად ახორციელებდა პროვოკაციულ აქტებს საქართველოს წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა აგრესია.

თითქოს აღარავის ახსოვს საერთაშორისო სპეცკომისიის დასკვნა, სადაც ჩაიწერა, რომ ომი საქართველომ დაიწყო. კომისიას ცნობილი დიპლომატი ტალიავინი ხელმძღვანელობდა. მასში შედიოდნენ 20 სამხედრო ექსპერტი – ისტორიკოსები, სამართლის მცოდნეები ევროკავშირიდან, ეუთოდან, გაეროდან, საქართველოდან და რუსეთიდან.

2008 წლის 2 ოქტომბრის ევროსაბჭოს რეზოლუციაში (მე-5 პუნქტი) ჩაიწერა, რომ საქართველოს სამხედრო შენაერთებმა, 2008 წლის 7 აგვისტოს, გაფრთხილების გარეშე დაიწყეს ცხინვალის დაბომბვა, რამაც გამოიწვია ახალი ესკალაცია – სამხედრო მოქმედებები.

დასავლეთი დღესაც ორ კურდღელს იჭერს – ანტირუსულ განწყობასაც აღვივებს და საკაკაშვილის გათეთრებასაც ცდილობს – პრეზიდენტის, რომელმაც 2008 წლის ომის შედეგად ქვეყნის ტერიტორიის 20% დაკარგა.

ასეთი პრეზიდენტი ქვეყნის ღალატისთვის უნდა გასამართლდეს და დაისაჯოს!

დამნაშავე, არამზადა მიშას ადგილი მხოლოდ ციხეშია!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ახალი რეგულარული და ჩარტერული რეისები

ახლად **დაფუძნებული უკრაინული ავიაკომპანია SkyUp კიევი-ბათუმის მიმართულებით რეგულარული რეისების დაწყებას გეგმავს და ამ მიზნით ავიაკომპანიამ უკრაინის საავიაციო ხელისუფლებას ოფიციალურად უკვე მიმართა. თუმცა მანამდე ავიაკომპანია ბათუმის მიმართულებით ჩარტერულ ავიარეისს განახორციელებს.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში განმარტავენ, რომ მიმდინარე წლის 4 ივნისს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ, საქართველოსა და უკრაინას შორის საჰაერო მიმოსვლის შეთანხმების შესაბამისად, SkyUp-ის კიევი-ბათუმი-კიევის საჰაერო ხაზზე რეგულარულ გადამზიდველად დანიშვნის შესახებ, უკრაინის საავიაციო ხელისუფლებისგან წერილი მიიღო.

„ავიაკომპანიას სააგენტოსთვის რეგულარული ფრენების ნებართვის მისაღებად არ მოუმართავს. ავიაკომპანიამ ამ ეტაპზე, განაცხადი შემოიტანა მხოლოდ ერთ ჩარტერულ რეისზე (10 ივნისი)“, – აცხადებენ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში.

ჯემალ კასრაძე: ჩემი ოცნებაა, გადავიღო ცხინვალში დაბრუნებული ქართველები...

ფოტოხელოვან ჯემალ კასრაძეს ეპოქის მემატიანესაც უწოდებენ...

ვინ აღარ გადაუღია მის ფოტოობიექტივს, რა ქარიშხლები აღარ გამოუვლია!.. თითოეული ფოტო ნოველაა, მატიანეა, რომელიც გვიამბობს გარდასულზე, შეჩერებულ დარდსა თუ სიხარულზე...

მის ფოტოობიექტივშია ეროვნული მოძრაობა, ცხინვალი და აფხაზეთი... პოლიტიკოსები, მეცნიერები, ხელოვანები, სპორტსმენები, მოღვაწენი... ჯემალ კასრაძეს სად არ ნახავთ; მარაბდისა და შინდისის გმირთა ნაკვალევზე, ილიას ნაფეხურებს ამგზავრებულს... მერაბ კოსტავას ეზოში, სტეფანწმინდასა და მარაბდაში... იგი ყველგანაა, თავისი სამშობლოს ყველა კუთხე-კუნჭულში და მაინც, დიდი ცხინვალელებისკენ სხვანაირად მიუწევს გული...

ცხინვალიდან დაწყებული ბავშვობიდან სრულიად საქართველოს მოგზაური და ცოცხალი თვალია... თვალი, რომელიც გაიძულებს, რომ ასევე თვალი გაუსწორო სინამდვილეს... ჩაფიქრდე და მომავალი აშენო...

სხვადასხვა გამოფენაზე წარმოდგენილმა მისმა სურათებმა დაიმსახურეს საპრიზო ადგილები და ფულადი ჯილდოები. გამოსცა სამი წიგნი: „ჩიტებით სავსე ყუთი“, „ვაჟა კაჭარავა“ და ფოტოგალერეა „ჩემი დროის ადამიანები“.

ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის გადაღებისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დააჯილდოვა საპატრიარქოს სიგელით.

2014 წელს, ქართული ფოტოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჯემალ კასრაძეს, როგორც კულტურის სამინისტროს რჩეულს, მიენიჭა პირველი ქართველი ფოტოგრაფის — ალექსანდრე როინიშვილის პრემიის ლაურეატის წოდება. ჰყავს მეუღლე — ნელი რეხვიაშვილი-კასრაძისა, შვილები — ლევანი და ჯაბა; შვილიშვილები — ანა, ნიკუშა, ანდრია, კატო და მაშო.



— დავიბადე ცხინვალში, 1945 წლის ნინოობას. რაც თავი მახსოვს, ჩვენს სახლში ყოველთვის იყო ფოტოაპარატი, ეს აპარატი მამაჩემმა მეორე მსოფლიო ომის წინ შეიძინა, თუმცა არც მოხმარება იცოდა და არც ინტერესი ჰქონდა. მე და ჩემი ძმა რომ წამოვიჩიტეთ, გადავწყვიტეთ ამ აპარატისთვის ფუნქცია დაგვებრუნებინა. გერმანული იყო, „გომზა“ ერქვა. ზუსტად ისეთი, პროფესიონალი ფოტოგრაფები რომ ხმარობენ. სამ ფეხზე დააყენებდი. გადააფარებდი შავ ტილოს და ჩიტს გამოაფრენდი. კონტაქტური ბეჭდვის თითო ფირი ჩადიოდა. შემდეგ ვამზადებდით „პრაიავიტელს“ და „ზაკრეპიტელს“ (რატომღაც ამ ხსნარების სახელწოდებას ყველა რუსულად ვამბობდით), შემდეგ ვამჟღავნებდით ფირს და იწყებოდა საოცარი პროცესი: წითელ შუქზე იბადებოდა სასწაული - ფოტო ქაღალდზე გამოჩნდებოდა ადამიანი, თითქმის ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო.

მაშინ არც ფოტოგრაფიის მამამთავარი ფრანგი მხატვარი ჟაკ მანდე დაგერი ვიცოდით და არც ნეგატივის გამომგონებელი ინგლისელი ჰენრი ფოქს ტალბოტი. ისე, სიმართლე თუ გინდათ, არც ალექსანდრე როინიშვილი გაგვეგონა.

უკვე იმ დროს ძალიან პოპულარული ფოტოაპარატი „სმენა“ რომ შევიძინე, ქვეყანა ჩემი მეგონა. მერე იყო „ფედი“ და საბჭოთა აპარატებიდან ყველაზე საუკეთესო „ზენიტი“. „ზენიტით“ დავიწყე პროფესიული საქმიანობაც: დღეს, როდესაც ციფრულმა ფოტომ ძალიან გაამარტივა გადაღება, დროდადრო მომენატრება ხოლმე წითელ შუქზე ჩატარებული ის საოცარი რიტუალი, როცა მე თვითონ ვიყავი ამ სასწაულის უშუალო შემოქმედი.

— პირველი ფოტოსურათები...

— პირველი ფოტოსურათი 1971 წელს „ლიტერატურულმა საქართველომ“ დამიბეჭდა. ძალიან დიდი სიხარული განვიცადე. ყველას ვაჩვენებდი. ჯიბეში გამიცვდა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ფოტოგრაფია თუ გახდებოდა ჩემი მთავარი საქმიანობა.

— სპორტულ გაზეთებში — „ლელოსა“ და „მართვეში“ მუშაობდით...

— თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება რომ დავამთავრე, ფოტოგადაღებამ გადამძალა. „ლელოში“ ვთანამშრომლობდი შტატგარეშე კორესპონდენტად. თანაკურსელი ავთანდილ გურასაშვილი მეორე კურსიდან „ლელოს“ შტატში აიყვანეს და, შეიძლება ითქვას, მან გამიკვალა გზა ამ პოპულარულ გაზეთში.

ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, იმ დროს რედაქციის შტატში მოხვედრა ძალიან რთული იყო. სტუდენტი ავთოს აყვანა შტატში იშვიათ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს.

1977 წელს ჟურნალ „მართვეს“ რედაქტორმა არჩილ გოგელიამ ფოტოკორესპონდენტად დამნიშნა. საოცარ სამყაროში მოვხვდი. აქ გავიცანი მხატვარი ვახტანგ რურუა, თამაზ კვაჭანტირაძე, ნანა კვარაცხელია, რაიმონდ მაჭავარიანი, თენგიზ გაჩეჩილაძე, გოგა ქორქია. მოგვიანებით შემოგვიერთდნენ პაატა ნაცვლიშვილი და დათო კაკაბაძე.

ეს ადამიანები იმ დროისთვის ჩვენში ყველაზე მაღალი დონის ჟურნალს აკეთებდნენ. „მართვე“ გამოირჩეოდა როგორც კვალიფიციური წერილებით, ისე დიზაინით. აქ შექმნილმა შემოქმედებითმა ატმოსფერომ განაპირობა ჩემი ფოტოგრაფად დახვეწა-ჩამოყალიბება.

ვახტანგ რურუასთან ურთიერთობამ საგრძნობლად დამიხვეწა ფოტოგემოვნება. მეორე მხრივ ალბათ მეც გავუმართლე, რომ აკაკის „გამზრდელივით“ რადიკალური ნაბიჯი არ გადადგა.1985-ში არჩილ გოგელია გადაიყვანეს „ლელოს“ რედაქტორად. ჩემი პირველი რედაქტორი ამ პრესტიჟულ თანამდებობას იმ პირობოთ დათანხმდა, თუ „ლელოს“ რედაქციაში „მართვეც“ დაიდებდა ბინას. თუმცა „ლელო“ საქართველოს სპორტკომიტეტის ორგანო იყო, ხოლო „მართვე“ — საქართველოს განათლების სამინისტროსი.

მოხდა ისე, რომ პირველ ეტაპზე არ იყო საშუალება, მეც გადავსულიყავი, როცა გამოჩნდა, მე აღარ დამიჯდა ჭკუაში. პარალელურად ორ სპორტსკოლაში ვმუშაობდი ფოტოგრაფად და იმ პირობაზე სოლიდური შემოსავალი მქონდა.

— „ლელოში“ თქვენს წერილებზე თავად იღებდით ფოტოებს...

— რამდენიმე თვეში წერამ ამიტანა. ასე დავუკავშირე ერთმანეთს ფოტოაპარატი და კალამი და „ლელოს“ მივაკითხე. იმ დროს რედაქტორი უკვე თენგიზ გაჩეჩილაძე იყო. არჩილ გოგელია გაზეთ „თბილისის“ რედაქტორად გადაიყვანეს.

მალე ჩემი ინიციატივით შეიქმნა რუბრიკა „კვიმატი ობიექტივი“ (ნათლია ირაკლი ბერიაშვილი იყო). იბეჭდებოდა სპორტზე გადაღებული სახუმარო ფოტოები. რუბრიკამ დიდხანს ვერ გაძლო, რადგან ამ ჟანრის ფოტოებს თითქმის მარტო მე ვიღებდი.

— სპორტზე გადაღებული რამდენიმე ფოტო თქვენთვის დღესაც ძვირფასია...

— ნამდვილად ასეა. მათ შორის გამოვყოფდი ყიფიანი-ჩივაძის ფოტოს. იმის მიუხედავად, რომ უბურთოდაა გადაღებული, თუმცა ჯობია, ამ ფოტოს შესახებ არჩილ გოგელიას წიგნიდან „ასეთია სპორტული ცხოვრება“ მოვიტანო ერთი ფრაგმენტი:

„ჩემი სამუშაო მაგიდის უჯრაში ინახება რამდენიმე სურათი, რომლებიც განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ალექსანდრე ჩივაძე დავით ყიფიანთან ერთად. ყიფიანი თითქოს ოპერატიულ სივრცეს ზვერავს, ჩივაძე კი ჩვენთვის ნაცნობი ჟესტით რაღაცას უჩვენებს თანაგუნდელებს. გაწვდილი ხელი კი იმას ნიშნავს, რომ მან მათზე ადრე შეამჩნია, ამოიცნო მომავალი საფეხბურთო „სვლა“. წამიც და ბურთი მის მიერ მინიშნებულ ადგილზე დავარდება, ხოლო ჩივაძის რომელიმე პარტნიორი ანდა მეტოქე უმალ გაჩნდება იქ.

ზოგჯერ დავხედავ ხოლმე ამ სურათს, რომელიც ფოტოკორესპონდენტმა ჯემალ კასრაძემ გადაიღო. ენერგიული მოძრაობა, ცოცხალი გამომეტყველება, თამაშში ოდნავ მოხრილი ფიგურა, ყველაფერი თითქოს ჩვეულებრივია და მაინც, ამ სურათში ვპოულობ მხოლოდ გუნდის კაპიტნისთვის ნიშანდობლივ ჟესტ-მიმიკას და იმ ხაზგასმულ ემოციებს, რაც ყველასგან გამოარჩევს ფეხბურთელ ალექსანდრე ჩივაძეს“.

ეს სურათი რომ გადავიღე, მივხვდი, მაგარი იყო და, მაშინვე, „ლელოში“ გავაქანე. მაშინდელმა რედაქტორმა ცივი წყალი გადამასხა — რა არის, ბიჭო, ეს ხულიგნური მომენტი გინდა, დაგიბეჭდოო.

რას ვიზამდი, რედაქტორს ზევით ხომ ძალა არ არის, არადა ეს სურათი მერე და მერე უფრო ცნობილი გახდა. ათიოდე წლის წინათ ფეხბურთის ფედერაციაში ვიყავი. ერთადერთი სურათი, რომელიც კედელზე იყო ჩამოკიდებული, სწორედ ეს დაწუნებული კადრი იყო.

სპორტულ თემაზე გადაღებული სურათებიდან ყველაზე უნიკალური მაინც რამაზ შენგელიასა და ოდესის „ჩერნომორეცის“ ორი ფეხბურთელის კადრია — სამივე ფეხის წვერზე დგას, მეორე ფეხი მკერდის სიმაღლეზე ბურთზე აქვთ გაწვდილი.

ეს სურათი უნიკალური იმიტომაცაა, რომ ოთხმა ფოტოკორესპონდენტმა გადავიღეთ— მე, ალექსანდრე კოტორაშვილმა, ვარლამ გენგიურმა და მალხაზ დათიკაშვილმა.

სხვათა შორის, ოთხივე ავტორის სურათი „მართვემ“ გვერდიგვერდ დაბეჭდა და „ფეხბურთის ბალეტი“ უწოდა.

ამ კადრმა მრავალი საერთაშორისო პრიზი მოიპოვა.

90-იანი წლებიდან ვმუშაობდი „კაბადონ-8“-ში, „საქართველოს პარლამენტში“, „დილის გაზეთში“. მოგიანებით ღუზა ჩავუშვი „საქართველოს რესპუბლიკაში“. პარალელურად ვიყავი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეების — ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძის ფოტოგრაფი.

1995 წელს მოეწყო თემატური პერსონალური გამოფენა. 2010 წელს მოეწყო ზვიად კვარაცხელიას წიგნის „ყიფლიბანდის“ წარდგენა, რომელიც ეხებოდა თბილისის სამოქალაქო ომს. პარალელურად გამოიფინა ამ თემაზე გადაღებული ჩემი სურათები.

იმავე წელს 19 ოქტომბერს საჯარო ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში გაიმართა ჩემი 35-წლიანი შემოქმედების პერსონალური ფოტოგამოფენა.

— თქვენს მოგონებებში ჰამლეტ გონაშვილს განსაკუთრებული ადგილი უკავია...

— ერთ მოგონებას გავიხსენებ... ცნობილმა ანსამბლმა „რუსთავმა“ ხუთ ფირფიტაზე ჩაწერა 10 სიმღერა. პარალელურად რეჟისორი სოსო ჩხაიძე და მხატვარი ვახტანგ რურუა ანსამბლზე იღებდნენ ფილმს. ფირფიტებს მოჰყვებოდა სურათებით გაფორმებული კატალოგი. ისე დაიგეგმა, რომ ერთ კადრში უნდა ყოფილიყვნენ ჰამლეტ გონაშვილი, ბადრი თოიძე და ჯუმბერ ყოლბაია.

კადრი რომ დინამიკური ყოფილიყო, ვთხოვე, ემღერათ. ჰამლეტმა წამოიწყო „წინწყარო“. ეს სიმღერა მრავალჯერ მომისმენია ტელევიზიით, რადიოთი, მაგნიტოფონით, ფირფიტით, მაგრამ ეს სულ სხვა იყო. ჩემდა უნებურად, აპარატი დავუშვი და მონუსხული შევყურებდი. შუამდე რომ მივიდნენ,ჰამლეტს გაეცინა — რას შვრები, კაცო, აღარ გვიღებო?

დღესაც, ამდენი ხნის შემდეგ, როცა ამ სურათს ვუყურებ, სულ ის ხმა ჩამესმის.

— აქტიურად იღებდით ეროვნული მოძრაობის ლიდერების ფოტოებს. მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდეგ თქვენს ცხოვრებაში პატარა კურიოზი მოხდა — უცხოელმა ჟურნალისტმა კოსტავა და კასრაძე ერთმანეთთან გააიგივა...

— მერაბ კოსტავას დაღუპვიდან სულ მალე, ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმა ერთ ღამეში ჩამოხსნეს ლენინის ქუჩის ფირნიშები და წინასწარ გამზადებული ჩვენი ეროვნული გმირის ფირნიშები გააკრეს. ამ პერიოდში თბილისში იყო ჩამოსული ამერიკელი ჟურნალისტი და პოეტი ედ ჰოუკინსი. სტუმარმა რომ გაიგო ასეთი მნიშვნელოვანი ამბავი, ძალიან დაინტერესდა.

გაზეთ „თბილისიდან“ სოსო ჭუმბურიძემ დამირეკა — ასეთი და ასეთი ამბავია, კოსტავას სურათები მოგვთხოვა ამერიკული გაზეთისთვისო.

სამწუხაროდ, დღესაც არ ვიცი, გამოქვეყნდა თუ არა მერაბზე პუბლიკაცია. გამოიყენეს თუ არა ჩემი გადაღებული სურათები. რაც კარგად ვიცი, ისაა, რომ ედმა თბილისში გამომავალ ინგლისურ ენოვან გაზეთ „მაცნეს“ გამოუგზავნა ხუთსტროფიანი ლექსი. მთელ ლექსს ლაიტმოტივად გასდევს — „კასრაძემ ღრმა ხნული გაავლო ეროვნულ მოძრაობაში“.

ალბათ ჩემი ახსნა არ დაგჭირდებათ, რომ ედს კოსტავა და კასრაძე ერთმანეთში აერია. ამ ამბავში კურიოზული ისაა, რომ თბილისში ლექსი ისე დაბეჭდეს, ეჭვიც არავის გასჩენია — ეს კასრაძე ვიღაარ. თუმცა, სულო ცოდვილო, ხანდახან ეჭვი შემიპყრობს ხოლმე, ეგებდა, ჩემს ღვაწლს სამშობლოს წინაშე სათანადოდ ვერ ვაფასებ — გარედან უკეთესად ხომ არ ჩანს. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“. იქნებ არც ამერიკელს შეეშალა და ამათაც გულდასმით წაიკითხეს.

— უამრავი მწერალი თუ ხელოვანი აღბეჭდა თქვენმა ობიექტივმა... ჟურნალისტის პროფესია საინტერესოა იმითაც, რომ ამ დროს მრავალ ადამიანს უმეგობრდები კიდეც... გოდერძი ჩოხელსაც შეხვედრიხართ...

— გოდერძი ჩოხელი ისე, როგორც მრავალი სხვა, ჩემმა აპარატმა გამაცნო. ერთ მშვენიერ დღეს დიღმის მასივში, 14-სართულიანი ბინის მე-9 სართულზე ვეწვიე.გადაღებისას, მთავარი აქცენტი იმაზე უნდა გამეკეთებინა, რომ გუდამაყრელი კაცი მრავალსართულიან ბინაში იყო გამოკეტილი.

რესპონდენტი დამყოლი აღმოჩნდა. ყველანაირად ხელს მიწყობდა, მიზნისთვის მიმეღწია. არც გამკვირვებია. გოდერძი ხომ არა მარტო მწერალი, შესანიშნავი რეჟისორიც იყო. ბოლოსკენ ოჯახის წევრებთანაც გადავიღე და წასასვლელად ჩანთისკენ დავიხარე. მასპინძელმა ჩანთა დამადებინა — შენ ისე ხომ არ გინდა, წახვიდე, ოჯახი არ დამილოცო?

ამასობაში გოდერძის მეუღლეს, ნინო მელაშვილს სუფრაც გაეშალა.

იხ. 11 გვ.

გურამ შარაძე და რევაზ მიშველაძე

თემურ ჩხეიძე და ელდარ შენგელია

სირიის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება რუსეთის პრესტიჟს ურტყამს

რუსი პოლიტოლოგების კომენტარები

ყოველთვის, როცა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს რომელიმე სახელმწიფო აღიარებს, იბადება კითხვა — რა მოტივაციით ხელმძღვანელობს ამღიარებელი მხარე? ვერსიები სრულიად განსხვავებულია: რუსეთის მიმართ სოლიდარობის დემონსტრირება (ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიდერების მხრიდან) და მერკანტილური მიზნები (წყნარი ოკეანის კუნძულელების მხრიდან). მაგრამ რატომ აღიარა სირიამ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი?

აშშ-ის „კარნეგის ფონდის“ რუსული ფილიალის ექსხელმძღვანელი, „ცივილიზაციათა დიალოგის“ ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების დირექტორი, რუსი პოლიტოლოგი **ალექსეი მალაშენკო** დარწმუნებულია, რომ კავკასიური რესპუბლიკების აღიარებისკენ სირიას რუსეთმა უბიძგა. „ბაშარ ასადის რეპუტაციისა და იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც სირია იმყოფება, რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯი მაინცდამაინც კარგი დიპლომატიური სვლა არაა. ვფიქრობ, ძალიან სასაცილო და სულელური გადაწყვეტილებაა“, — ამბობს ალექსეი მალაშენკო.

— რატომ?

— ეს მხოლოდ სიცილს იწვევს... აბა, შეხედეთ, ვინ აღიარებს — ნაურუ, ნიკარაგუა... ახლა კიდევ სირია, სადაც რუსული სამხედრო ავიაცია დაფრინავს. ეს სიტუაცია ძალიან საბრალოდ გამოიყურება და რუსეთის პრესტიჟს ურტყამს. ძალიან მიკვირს.

— როგორი პრინციპით შეიძლებოდა ეს აღიარება მომხდარიყო — ვთქვათ, „აღიარეთ, რადგან თქვენ ჩვენი მოვალეები ხართ“ თუ „თქვენ დასაკარგი არაფერი გაქვთ, აღიარეთ“?

— სირიელებისთვის სულ ერთია. ბაშარ ასადს პატივს არავინ სცემს. ამით იგი არაფერს წააგებს. უბრალოდ, მან ამით ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის მარიონეტს წარმოადგენს.

* * *

რუსი პოლიტოლოგი **ნიკოლაი სილაევი** კი ამბობს, რომ სირიის მიერ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის აღიარება საკმაოდ მრავალმნიშვნელოვანია: პირველად რუსეთის მოკავშირე სახელმწიფო მხარს უჭერს მოსკოვის პოზიციას იმ საკითხში, რომელიც მის საკუთარ ინტერესებში არ შედის. „ეს თითქოსდა კითხვას უსვამს რუსეთის სხვა მოკავშირეებს: თუ თქვენ ასეთ უბრალო საკითხშიც კი, როგორიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაა, რუსეთს მხარს არ უჭერთ, მაშინ რა მოკავშირეები ხართ?“.

— შესაძლოა, საკითხი უფრო მარტივადაა — საქმე ეხება მარიონეტს, რომელსაც მოსკოვი მართავს?

— მე ბაშარ ასადს მარიონეტს ვერ ვუწოდებ. რა თქმა უნდა, მან წარმატებას რუსეთის დახმარებით მიაღწია, მაგრამ არის კიდევ ირანი, ვისთანაც მას მჭიდრო კავშირები აქვს, არის თურქეთიც, რომელთანაც 2012 წლამდე ბაშარ ასადს საუკეთესო ურთიერთობები ჰქონდა. სირია, ცხადია, ახლო აღმოსავლეთის ყველაზე გავლენიანი სახელმწიფო არაა, მაგრამ მას მარიონეტს ვერ უწოდებ.

— მაშინ რით შეიძლება აიხსნას სირიის მოტივაცია? უბრალოდ, რუსეთის მხარდაჭერით?

— მე ვფიქრობ, აქ ორი ფაქტორი მოქმედებს: ერთი მხრივ — ბაშარ ასადისათვის საქართველოსთან ურთიერთობა მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ არის. დამასკო არაფერს კარგავს თბილისთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით. იმ ნაკლოვანებათა სიას, რასაც ამერიკელები ბაშარ ასადის შესახებ ავრცელებენ, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის აღიარება ბევრს არაფერს ამატებს. მეორე მხრივ — რატომაც არ უნდა გადაედგა ასეთი ნაბიჯი რუსეთის მხარდასაჭერად? არაა გამორიცხული, რომ ეს რუსეთ-სირიის მოლაპარაკების დღის წესრიგის საკითხი ყოფილიყო...

— ანუ შესაძლოა, რუსეთმა სთხოვა?

— არ ვფიქრობ, რომ რუსეთმა სპეციალურად სთხოვა. ბასარ ასადს შეეძლო, მომენტით ესარგებლა რაღაც დამატებითი საკითხის გადაწყვეტის მიზნით. მე ამას არ გამოვრიცხავ. საერთოდ კი, რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ჩაწერილია აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის აღიარებისადმი ხელშეწყობა. როცა არსებობს დავალება, ის უნდა შესრულდეს.

წყარო: „RF//RL“ (აშშ)

კიმ კარდაშიანის თხოვნით ტრამპმა ნარკომოვაჭრე შეიწყალა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა შეიწყალა ნარკორეალიზატორი ქალი ელის მარი ჯონსონი, რისთვისაც მანამდე კიმ კარდაშიანმა თხოვნით მიმართა. ამის შესახებ კიმი თავის „Twitter“ გვერდზე წერს. მედიის ცნობით, 67 წლის აფრო-ამერიკელს პატიმრობიდან მალე გაათავისუფლებენ. კარდაშიანი ელისის გათავისუფლებას „საუკეთესო სიახლეს“ უწოდებს.

„მასთან საუბარი იქნება ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი მოგონება ჩემს ცხოვრებაში. როცა გაიგო გათავისუფლების შესახებ, ის ბედნიერებისგან ყვიროდა და ჩვენ ორივე ავტირდით. ამ მომენტს მე არასოდეს დავივიწყებ“, — წერს კიმ კარდაშიანი.

ჯონსონის საქმეს გასულ კვირას ფართო რეზონანსი მოჰყვა. კიმ კარდაშიანმა მოახერხა პრეზიდენტთან შეხვედრა, ასევე მის სიძესთანაც. როგორც აღმოჩნდა, ის იბრძოდა ჯონსონის გათავისუფლებისთვის. ტრამპმა კარდაშიანთან შეხვედრის შესახებ თავად დაწერა თავის სოციალურ გვერდზე. ცნობისთვის, ელის მარი ჯონსონი 1996 წელს გაასამართლეს ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის. მას მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნის გარეშე.

ახალი კლასის თვითმფრინავები ილუმინატორების გარეშე წარადგინა

ავიაკომპანიამ „Emirates“ წარმოადგინა პირველი კლასის სალონი ახლახან შექმნილი ლაინერებისთვის — Boeing 777-300ER, რომელშიც არაა ილუმინატორები.

კომპანია ილუმინატორების ნაცვლად მგზავრებს სთავაზობენ, უყურონ ცას და მიწას „ვირტუალური“ ფანჯრის დახმარებით. იქ, სადაც ჩვეულებრივ თვითმფრინავებში არის ილუმინატორი, „Emirates“-ის პირველ კლასში დამონტაჟდება მრგვალი ეკრანები, სადაც გამოისახება სურათები, რომელიც ბევრად ხარისხიანი იქნება, ვიდრე საკუთარი თვალით დანახული გარემო“, — აცხადებს კომპანიის პრეზიდენტი ტიმ კლარკი.

პირველი რესპუბლიკის წარმომადგენლობა — ესტონეთში

ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა თეა ახვლედიანმა და ტალინის მერმა ტაავი აასმა ესტონეთის რესპუბლიკაში 1920-1921 წლებში მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის პირველი ოფიციალური წარმომადგენლობისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა გახსნეს.

საზეიმო ცერემონია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილესა და ესტონეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლისთავის აღნიშვნის კონტექსტში გაიმართა.

დაფა ტალინის ცენტრში მდებარე მწვანე სივრცის ტერიტორიაზე გაიხსნა. ადგილი ორივე მხარის შესაბამისი უწყებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სამომავლოდ ქართული დიზაინით გაფორმდება და საქართველოს სახელს დაუკავშირდება. ორივე ინიციატივა ესტონეთში საქართველოს საელჩოს ეკუთვნის, რომელიც ტალინის მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მისივე მხარდაჭერით განხორციელდა.

კავკასიის ბუნების ფონდი დაარსებიდან 10 წლის იუბილეს აღნიშნავს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი კავკასიის ბუნების ფონდის საიუბილეო ღონისძიებას დაესწრო, სადაც დამსწრეებს სიტყვით მიმართა.

ლევან დავითაშვილმა ფონდის მიერ გაწეულ საქმიანობაზე ისაუბრა და კავკასიის ბუნების ფონდს 10 წლის იუბილე მიულოცა.

„კავკასიის ბუნების ფონდი არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საქმიანობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც. მინდა, მივულოცო 10 წლისთავი, რადგან ამ 10 წლის განმავლობაში ძალიან დიდი საქმეა გაკეთებული დაცული ტერიტორიების მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

კავკასიის ბუნების ფონდი საქართველო-გერმანიის თანამშრომლობის ფარგლებში დაარსდა და იგი ერთგვარ ხიდს წარმოადგენს ბიზნესსექტორსა და სააგენტოს შორის. ფონდს არაერთი კორპორატიული დონორი და ინდივიდუალური შემომწირველი ჰყავს.

კავკასიის ბუნების ფონდი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობისთვის სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. ჯამში, საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარებისთვის 10 მილიონ ლარზე მეტია დახარჯული.

ლვოველი ტუროპერატორები აჭარის ტურისტულ პოტენციალს ეცნობიან

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით რეგიონს ლვოვიდან ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები სტუმრობენ. ისინი აჭარის საზღვაო და სამთო ტურისტულ პოტენციალს ეცნობიან. გუშინ სტუმრებს სასტუმრო რედისონში რეგიონის ტურისტული პოტენციალისა და ტურიზმის განვითარების კუთხით განხორციელებული პროექტების შესახებ ვრცელი პრეზენტაცია ჩაუტარდათ. შეხვედრის შემდეგ ისინი მთიან აჭარას ეწვევიან და იქ არსებულ ტურისტულ პროდუქტებს გაეცნობიან.

აჭარაში ლვოველი ტუროპერატორებისა და სააგენტოების ვიზიტი ლვოვი-ბათუმის მიმართულებით ფრენების დაწყებას უკავშირდება. ინფოტურის მიზანი ლვოვიდან აჭარაში ტურისტების მოზიდვა და ბათუმის მიმართულებით სპეციალური ტურისტული პაკეტების შემუშავებაა. აჭარაში და, ზოგადად, საქართველოში უკრაინელი მოგზაურების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. გასულ წელს აჭარას — 38, 467 უკრაინელი მოგზაური, ხოლო ზოგადად საქართველოს 193, 127 უკრაინელი მოგზაური სტუმრობდა, რაც 10.4%-ით აღემატება 2016 წლის მონაცემებს.

უფერო ლაქი, ხასხასა ფერის პალტო, მოკლე შარვალი და... დამძიმებული კაბები

დიდი ხანია, ცნობილია, რომ სამეფო ოჯახის წევრობა ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს ისეთ კონსერვატიულ ქვეყანაში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი. მართალია, ბოლო დროს რაღაც-რაღაც შეღავათები უკვე კეთდება, მაგალითად, დასაშვები გახდა სიყვარულით ქორწინება, მაგრამ კარის ეტიკეტი მაინც მრავალ შეზღუდვას აწესებს, რომელთაც დაწერილი თუ დაუწერელი კანონები განაპირობებენ. ყოველდღიურ ყოფაშიც კი უკლებლივ ყველაფერი რეგლამენტირებულია – რომელი კოსმეტიკის ხმარებაა დასაშვები, როგორი სამოსელის, ფეხსაცმლისა და საცვლების ტარებაა ნებადართული და ა.შ.

თუმცა კი ტახტის №2 მემკვიდრის მეუღლე, კემბრიჯის ჰერცოგინია ქეით მილდტონი აგერ უკვე მერამდენე წელია, ამ წესებს ემორჩილება და თავსაც მშვენივრად გრძნობს. 19 მაისს კი უილიამის უმცროს ძმასთან ჰარისთან შეუღლების შემდეგ ამავე წესებით ცხოვრება ამერიკელ მეგან მარკლსაც მოუწევს. ამასთან დაკავშირებით, პოპულარული გამოცემა „კოსმოპოლიტენი“ სამეფო მოდის ყველაზე უჩვეულო თავისებურებათა ჩამონათვალს გვაცნობს.

1. არანაირი „ჭყეტელა“ მანიკიური!

მანდილოსანთა სამეფო გარდერობისა და თავის მოვლის ერთ-ერთი უმთავრესი წესია თავშეკავებულობა. ეს ეხება ფრჩხილებსაც. ლაქის ნებისმიერი მყვირალა ფერი ვულგარულად მიიჩნევა და დაუშვებელია, დასაწებებელ ფრჩხილებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! ამასთანავე, ბაცი ვარდისფერი ლაქის წასმა აკრძალული არ არის, თავად დედოფალი ზოგჯერ ფირმა Essie-ს ელფერ Ballet Slippers-ს იყენებს, რომელიც მხოლოდ 6 გირვანქა სტერლინგზე ოდნავ ძვირია

(ჩვენ ფულზე – 20 ლარი – რედ.).

2. მხოლოდ ხასხასა ფერის პალტო!

დედოფლის პალტოები მუდამ ერთი ფერისაა, თუმცა კი ხასხასა – ნარინჯისფერი, წითელი, ვარდისფერი, ცისფერი და სხვ. იგი ერთფეროვან პალტოებს რომ ატარებს, ამის მიზეზი არა უბრალო ამოჩემებაა, არამედ იმიტომ, რომ ბრბოში უმალ შენიშნონ და ყველა ქვეშევრდომს შეეძლოს, თქვას – „მე თავად დედოფალი ვიხილე!“ ელისაბედ II-ს ასეთ ფრაზასაც მიაწერენ – „ვერასდროს ჩავიცვამ რუხი ფერის სამოსს, რადგან მაშინ ვეღარავინ მიცნობს!“

3. კლატჩი... მკერდის დასაფარად

უზონრო ხელჩანთა-კლატჩს უფლისწული დაიანა ყოველთვის მკერდის დასაფარად იყენებდა, როცა მანქანიდან გადმოდიოდა: მას უყვარდა დეკოლტე კაბების ჩაცმა და არ უნდოდა, რომ ფოტოგრაფებს მისთვის ზედმეტად პიკანტური ფოტოები გადაეღოთ. ქეით მიდლტონს კი კლატჩი ჩვეულებრივ, ორივე ხელით უჭირავს, რაც მღელვარების დაფარვაში ეხმარება.

4. მისი უდიდებულესობის ფეხსაცმელი ფეხზე „გემრიელად“ უნდა იყოს მორგებული

ამისთვის კი, ვიდრე ფეხსაცმელს დედოფალი ჩაიცვამს, ახალი წყვილი აუცილებლად ვინმემ უნდა „მოთელოს“. გაზეთ Evening Standard-ის ცნობით, ეს მისია საგანგებო მსახურ ქალბატონს აკისრია, რომელსაც ზუსტად დედოფლის მსგავსი ტერფი აქვს. ეს ქალბატონი სამეფო ფეხსაცმელზე მხოლოდ ხორცისფერ წინდებს იცვამს და მხოლოდ ხალიჩებზე დააბიჯებს. ეს ყველაფერი ახირება არ არის, რადგან ელისაბედ II უკვე 90 წელსაა გადაცილებული და, ამის მიუხედავად, მას უამრავი ვიზიტი და სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებაზე დასწრება უწევს, რის გამოც ფეხით ბევრს დადის და თავს დაჯდომის უფლებას ვერ მისცემს.

5. სამეფო შიფრი

რეპორტიორებმა დიდი ხანია, შენიშნეს, რომ დედოფალი ელისაბედ II ხალხში უჩანთოდ არასდროს ჩნდება, რომელშიც, რამდენადაც ცნობილია, სათვალე, პომადა, პიტნის კანფეტი, კალამი და სარკე უდევს (**ჩვენი გაზეთი შარშან წერდა ამის შესახებ – რედ.**). ჩანთა კი მას თანაშემწეებისთვის და პირადი დაცვისთვის განკარგულება-ნიშნების გადასაცემად სჭირდება. მაგალითად, როცა ვინმესთან საუბრისას დედოფალს ხელჩანთა უცბად ხელიდან ხელში გადააქვს, ეს იმის ნიშანია, რომ საუბარმა დაღალა და თანაშემწემ მოსაუბრე თავაზიანად უნდა მოაცილოს. თუკი წვეულების დროს დედოფალი ხელჩანთას მაგიდაზე დებს, ეს იმის ნიშანია, რომ ხუთ წუთში იგი სუფრიდან ადგომას აპირებს, ხოლო თუ თითზე ბეჭედს ატრიალებს, მაშასადამე შველას ითხოვს – „ყურადღება, აქაურობას სასწრაფოდ გამარიდეთ!“

6. შავი სამოსელი მგზავრობისთვის

1952 წელს მეუღლესთან ერთად კენიაში ყოფნის დროს ელისაბედ II-მ მამის, მეფე ჯორჯ VI-ის გარდაცვალების ამბავი შეიტყო. ბუნებრივია, იგი მაშინვე სამშობლოში ჩაფრინდა და იძულებული გახდა, თვითმფრინავში მჯდარიყო, ვიდრე შესაფერის შავ სამოსელს მოუტანდნენ. მას შემდეგ მოქმედებს დაუწერელი კანონი – თუკი სამეფო ოჯახის წევრი სხვა სახელმწიფოში ვიზიტად მიდის, აუცილებლად თან შავი ტანსაცმელი მიაქვს.

7. აუცილებელი კოლგოტები

დაუწერელი კანონია: სამეფო ოჯახის წევრ ქალბატონებს კოლგოტები აუცილებლად უნდა ეცვათ, წესია ასეთი! ამასთანავე, წინდა შეიძლება გამჭვირვალეც იყოს, როგორებსაც ქეით მიდლტონი ატარებს. მთავარია, ეცვას, თორემ, როცა უფლისწული ჰარი და მეგან მერკლი დანიშვნის შესახებ საზეიმო განცხადებას აკეთებდნენ, საპატარძლო ფეხშიშველი მივიდა და ამის გამო ყველანი შოკირებულნი იყვნენ.

8. ბიჭუნები მუდამ შორტებს ატარებენ

მაინც რატომაა, რომ უილიამსის და ქეითის უფროს ვაჟს – ჯორჯს ფოტოებს მუდამ შორტებში უღებენ? იმიტომ, რომ მას სხვა შარვლებს არ აცმევენ! არისტოკრატებში ასეა მიღებული – გრძელტოტიან შარვლებს ისინი მხოლოდ 8 წლის ასაკიდან იცვამენ, მანამდე კი მუდამ მოკლე შარვლით დადიან. „ესაა ინგლისში არსებული სოციალური სტატუსის ოდნავ შესამჩნევი მარკერი“, – ამბობს ეტიკეტის სპეციალისტი უილიმ ჰენსონი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი ბავშვი 8 წლამდე გრძელტოტებიან შარვალს ჩაიცვამს, ეს იმის ნიშანია, რომ მდაბიო მშობლების შვილია. ამასთანავე, არისტოკრატებს არანაირი სიცივე არ აშინებს, მრავალი ინგლისელის აზრით, გაკაჟება ბავშვებს დიდად უხდებათ.

9. ...და აუცილებლად ქუდი!

უწინ ძალიან ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ხალხში თავსაბურავის გარეშე ქალბატონის გამოჩენა არაფრით არ შეიძლებოდა. ინგლისში, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში, ხალხში გამოჩენისას ქალს აუცილებლად ქუდი უნდა დაეხურა. ამდენად, დედოფალი ამჟამადაც ხალხში ან ქუდით ან გვირგვინით გამოდის, ზოგჯერ თავზე ხილაბანდსაც იფარებს.

10. კაბას აუცილებლად დამძიმებული კალთა უნდა ჰქონდეს

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ წამობერილი ქარი ქალბატონებს კაბის კალთებს უფრიალებს, რაც უხერხულობას ჰქმნის. მაგალითად, ასეთი რამ ერთხელ ქეით მიდლტონსაც დაემართა, თუმცა კი კემბრიჯის ჰერცოგინია უხერხულობას გადაურჩა. დედოფალ ელისაბედ II-ს ასეთი რამ არასდროს მოუვა, რადგან მისი კაბების ბოლოში ყოველთვის ტყვიის დამამძიმებლებია დატანებული, რომლებსაც ოჯახებში იმისთვის იყენებენ, რომ ნიავმა ფარდები არ აფრიალოს.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

◎ ყველაფერი ყველაფერზე

საყიდლებზე „ლაშქრობის“ დრო

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ყველაზე მეტ ფულს ქალები მენსტრუალური ციკლის შუაში ხარჯავენ. კითხვაზე, თუ როდის ხარჯავენ ქალები ყველაზე მეტ ფულს, პასუხის მისაღებად ამერიკელმა მეცნიერებმა 500 ქალბატონი გამოკითხეს და შემდეგ მათი ციკლი დახარჯული თანხების პერიოდებს შეადარეს.

აღმოჩნდა, რომ მარტოხელა ქალები საყიდლებზე უფრო ხშირად ოვულაციის, გათხოვილები კი რაღაც-რაღაცებს ხელფასის მიღებისთანავე ყიდულობენ. ოვულაციის დროს სხვადასხვა ნივთების ყიდვის სურვილი სავსებით გასაგებია: მაშინ ქალი ქვეცნობიერად პოტენციური პარტნიორების მოზიდვას ცდილობს.

სასარგებლო წრიალი

მედიკოსები გვირჩევენ: ისინი, ვისაც მჯდომარე სამუშაო აქვთ, სკამზე რაც შეიძლება „მოუსვენრად“ უნდა ისხდნენ – იწრიალონ, სხეულის მდგომარეობა რაც შეიძლება ხშირად ცვალონ, ფეხები გამუდმებით ამოძრაონ, ტერფებით „პედალირება“ აკეთონ და ა.შ.

– ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა უძრაობას სჯობს, – აცხადებენ ექიმები. – მაგრამ ისიცაა, რომ „ადგილზე წრიალის“ რეკომენდაცია უფრო იმათ გამოადგებათ, ვინც იძულებულია, აუდგომლად იმუშაოს. დანარჩენები კი უმჯობესია, სკამიდან ყოველ საათში ერთხელ მაინც ადგნენ და თუნდაც ათი ნაბიჯი გაიარონ – ასეთი მოთელვა მათთვის გაცილებით უფრო მეტი სარგებლის მომტანი იქნება.

◎ პატივგება

გოლიათები ელჩმაც დააფასა

იაპონიის ელჩმა საქართველოში ტადაჰარუ უეჰარამ საკუთარ რეზიდენციაში ორი ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) და ლევან ცაგურია (კოკაი) მიიღო და მათ იაპონიასა და საქართველოს დაახლოებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური სიგელები გადასცა.

შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია და არა მარტო ქართულ მედიაში – იაპონიიდან სხვადასხვა ტელეარხის რამდენიმე ჯგუფი ჩამოვიდა.

საზეიმო ცერემონიალს კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და მთავრობის სხვა წევრები და საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ.

ჟურნალისტებისთვის ოფიციალური ცერემონიალის მხოლოდ ნაწილი იყო ღია.

ტადაჰარუ უეჰარა: „ბავშვობაში იოკოძუნები და ოძეკები ჩემთვის უდიდესი ვარსკვლავები იყვნენ, დღეს კი ასეთი ვარსკვლავი საქართველოსაც ჰყავს.

სუმოში ამბობენ, რომ წარმატების მისაღწევად სამი რამ არის საჭირო – სული, ტექნიკა და სხეული (შინ, ჯი, ტაი). მე მიმაჩნია, რომ ასეა ცხოვრებაშიც და ასეა ქვეყნებთან მიმართებაშიც. დღეს იაპონია ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველოც ძლიერი გახდეს ამ სამ კომპონენტში“.

მიხეილ გიორგაძე: „ლევან გორგაძის წარმატებამ არნახული პოპულარულობა მოუტანა საქართველოში სუმოს. ხალხი უკვე სუმოს ტერმინებში გაერკვა და ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს. სულ უფრო მეტმა ადამიანმა გაიცნო იაპონიაში საქართველო და ამაში ჩვენი პიონერის ლევან ცაგურიას ღვაწლი, რომელიც 2001 წლიდან იყო პროფესიონალი სუმოისტი, ახლა კი ქართული სუმოს განვითარებას ხელმძღვანელობს, ძალიან დიდია.

ტოჩინოშინის წარმატებამ კიდევ უფრო დიდი რეზონანსი გამოიწვია, ამიტომაც ჩვენ სპორტში არსებული უმაღლესი ჯილდოთი, რაინდის წოდებით დავაჯილდოვეთ ტოჩინოშინი, დღეს კი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე ითქვა, რომ ტოჩინოშინი და კოკაი იაპონიაში საქართველოს ნამდვილი ელჩები არიან და ამაში ბატონი ელჩიც დაგვეთანხმა“.

ლევან გორგაძე: „დიდი მადლობა ყველას, გულშემატკივრებს, მასმედიას. მე თქვენ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი. მადლობა ბატონ ელჩს ჩვენი დაფასებისთვის.

სამწუხაროდ, მაისის ბაშოზე ვერ გავიმარჯვე, მაგრამ მთავარ მიზანს მივაღწიე და ოძეკის ტიტული მოვიპოვე. ივლისის ბაშოზე ასევე წარმატებით ვაპირებ გამოსვლას, მანამდე კი ხელის ტრავმას მოვიშუშებ“.

კობა კობახიძე

◎ თაობა

პირადშიც, გუნდურშიც!

წარმატებით დაასრულა ასპარეზობა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა სტამბოლში გამართულ ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე.

ჩვენმა ნაკრებმა სოსო ჯაბიძის ხელმძღვანელობით 5 მედალი მოიპოვა, საიდანაც სამი უმეღლესი სინჯისაა. ევროპის ჩემპიონები ნუგზარ წურწუმია (55 კგ), რამაზ ზოიძე (72 კგ) და ზვიად პატარიძე (130 კგ) გახდნენ, ხოლო ბრინჯაოს მედლები დავით ჩხარტიშვილმა (60 კგ) და ლერი აბულაძემ (63 კგ) დაიმსახურეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა 121 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

ბეჟან დოლიძე

◎ 64

ამდიდრებენ საჭადრაკო თეორიას

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში (1997-2005), საერთაშორისო დიდოსტატი დავით გურგენიძე 1953 წელს დაიბადა ; საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მოპოვებული აქვს 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი.

ბ-ნი დავითი მრავალი წიგნის ავტორია. მათ შორის გამორჩეულია პარტიის დაბოლოების – ენდშპილის თეორიის შესწავლის საკითხები. მის კომპოზიციებს პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

ჭადრაკის გამოჩენილი დიდოსტატის და თეორეტიკოსის იგორ ბონდარევსკის შეფასებით ბ-ნი დავითის ეტიუდები **„აფართოებენ მოჭადრაკის თვალსაწიერს, ხელს უწყობენ ენდშპილის შესწავლას და ამდიდრებენ საჭადრაკო თეორიას“.**

დიდია დ. გურგენიძის ანალიტიკური ძალა და საკომპოზიციო ტალანტი. ჭადრაკის მოყვარულები ვუსურვებთ მას შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

მოამზადა
თამაზ შენგელიამ

„შახმატი 3 სსსრ“, 1975
სპეციალური პრიზი



მოგება

1. ♞f6 c2 2. ♞e4+ ♚d3 3. ♞f2 ♚c3 4. ♘e3+ ♚d2 5. ♘d3+ ♚e2 6. ♘c3 ♚d2 7. ♞e4+ ♚d1 8. ♘d3+ ♚e1 9. ♘e3+ ♚d1 10. ♞c3+ ♚d2 11. ♚d4! c1♕ 12. ♘e2 X

„ჩესკოსლოვენსკი შახ“
1975



ყაიმი

1. ♘h2+! ♚a1 2. ♘a5+ ♚b1 3. ♘b5+ ♚c1 4. ♘c5+ ♚d1 5. ♘d5+ ♚e1 6. e8♕+! ♕:e8 7. ♘e5+! ♚f1 8. ♘f5+ ♚e1 9. ♘e5+ ♕:e5 10. ♘e2+ ♚f1 11. ♘f2+ ♚e1 12. ♘e2+ ♚(♕):e2 - პატი.

◎ ეს საინტერესოა

რამდენი „ცხრიანი“ აქვს საფეხბურთო კარს?

ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღა რჩება. გასული ჩემპიონატების გამოცდილება მოწმობს, რომ ამ დროს ეს უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სანახაობა იმ ხალხსაც იტაცებს, ვინც მანამდე მისით არც მაინცდამაინც ინტერესდებოდა. რაც შეეხება თამაშის გარკვეულ ნიუანსებს, ბევრის შესახებ, შესაძლოა, ზოგიერთმა სტაჟიანმა გულშემატკივარმაც არ იცოდეს. მაგალითად,

რატომ აქვს კარს ბადე?

მე-19 საუკუნეში ფეხბურთის კარს მიწაში ჩარჭობილი ორი პალო წარმოადგენდა. 1866 წელს მათ შორის თოკის გაჭიმვა დაიწყეს, რომელიც შემდეგ ხარიხამ შეცვალა. ბადე კი მხოლოდ 1891 წელს გაჩნდა, რომლის დაჭიმვა ცნობილმა ინჟინერმა **ჯონ ბროდიმ** მოიგონა. იგი ლივერპულში სათევზაო ბადეების მწარმოებელი ფირმის მეპატრონე იყო და პირველმა სწორედ მან მოიგონა, საკამათო რომ არ ყოფილიყო – გავიდა გოლი თუ არა – კარის ჩარჩოზე ბადის ჩამოკიდება, თანაც თავისი გამოგონება დააპატენტა და საფეხბურთო კლუბებისთვის მისი მიყიდვა დაიწყო. საქმე აეწყო და ბროდი ისტორიაში შევიდა – ლივერპულში დღესაცაა ბროდის სახელობის ავენიუ, ფირმა „ბროდი“ კი საფეხბურთო ინვენტარს უშვებს.

ჯონ ბროდი

კარის ზომებია: სიმაღლე – 244, სიგრძე 732 სანტიმეტრი. მაინც საიდან გაჩნდა ეს „არამრგვალი“ რიცხვები? საქმე ისაა, რომ ფეხბურთი ინგლისელებმა მოიგონეს, რომლებმაც კარის სიმაღლე 8 ფუტი, სიგრძე კი 8 იარდი დაადგინეს, რომელთა მეტრულ სისტემაში გადაყვანა ამ „უსწორმასწორო ციფრებს“ იძლევა.

რატომაა კარის ძელები თეთრი ფერის?

უწინ კარის ძელები ზოგჯერ ზოლიანიც იყო ხოლმე. მაგრამ, ბოლო 40 წლის მანძილზე ფეხბურთზე დიდი ზეგავლენას ახდენს ტელევიზია და სწორედ მისი „შეკვეთაა“ თეთრი ფერი, ვინაიდან სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, რომ მწვანე მინდვრის ფონზე ისინი უკეთ ჩანს.

ამავე მიზეზითაა, რომ ბურთების უმეტესობა თეთრია ფერადი კოპლებით. გამონაკლისს მხოლოდ ის ბურთები წარმოადგენენ, რომლებითაც თოვლზე თამაშობენ.

რატომ მაინცდამაინც თერთმეტი კაცი?

თერთმეტი მოთამაშე გუნდში – ფეხბურთის ერთ-ერთი ფუძემდებლური წესი – თავის გაჩენით... საწოლებს უნდა უმადლოდეს. წესების პირველი კრებული 1848 წელს კემბრიჯის სტუდენტებმა შეადგინეს. 15 წლის შემდეგ მათი ხელახალი რედაქცია მიიღეს, მაგრამ მთავარი – 11-კაციანი შემადგენლობა – უცვლელად დატოვეს. რატომ მაინცდამაინც 11? იმიტომ, რომ საძინებელ ოთახებში 11-11 საწოლი იდგა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ყოველ საძინებელში სავსებით დაკომპლექტებული ფეხბურთის გუნდი იყო!

პენალტების ისტორია

თუკი სიზუსტეს ბოლომდე მივყვებით, პენალტის არა 11 მეტრიდან, არამედ 12 იარიდან ურტყამენ. თავდაპირველად ამ უმაღლესი საფეხბურთო სასჯელის შესრულება არა ერთი დანიშნული წერტილიდან იყო საჭირო, არამედ კარის წინ ამ 12 იარდის მანძილიდან გავლებული ხაზის ნებისმიერი წერტილიდან. ბოლოს ეს ხაზი წერტილამდე „დაპატარავდა“, თავად 12 იარდი (ანუ 11 მეტრი) იმითაა განპირობებული, რომ ესაა ცენტრი მეკარის მოედანსა და საჯარიმო მოედნის ხაზს შორის.

მსაჯის სასტვენი

როგორც მსაჯის ატრიბუტი, სასტვენი საკმაოდ შემთხვევით, 1878 წელს გაჩნდა. თავდაპირველად რეფერი განკარგულებებს ხმით იძლეოდა, მაგრამ 1878 წელს ლონდონში ერთ-ერთი თამაშის მსაჯობა... პოლიციელს მიანდეს და, როცა მინდორზე მოთამაშეებმა ჩხუბი ატეხეს, მან ავტომატურად ჯიბიდან სასტვენი ამოიღო და ჩაბერა... როგორც ამბობენ, ჩხუბისთავები ისეთ შოკში ჩავარდნენ, რომ აყალმაყალს უმალ მორჩნენ...

აუტი და არა ჯარიმა!

უწინ გვერდითი ხაზიდან ბურთი ფეხით შემოჰქონდათ, მაგრამ ამ დროს



რორი დელანი

ნებისმიერ აუტი სახიფათო საჯარიმო დარტყმად იქცეოდა და ამან ის საფრთხე შექმნა, რომ მთელი თამაში აუტის მოპოვებაზე დავიდოდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ გადაწყდა ბურთის ხელებით შემოტანა. მაგრამ ზოგიერთმა მოთამაშემ ამ ელემენტის შესრულებაშიც ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია, მაგალითად, ცოტა ხნის წინათ კარიერა დაასრულა ირლანდიელმა **რორი დელანმა** აუტიდან ბურთის შემოგდების დროს იგი სალტოს აკეთებდა და საათში 60 კილომეტრის სიჩქარით ბურთს 38 მეტრზე ისროდა! თანაც მას პარტნიორს, რომ იტყვიან, „თავზე ასვამდა“!

მაინც რამდენი „ცხრიანია“ კარში?

კომენტატორებისგან ხშირად გვსმენია „ბურთი ცხრიანში“ შევარდაო და თითქოსდა ყველამ იცის, რომ „ცხრიანი“ – ესაა კარის ზედა კუთხე. ბევრს ახლაც ჰგონია, რომ ფეხბურთის კარს ორი „ცხრიანი“ აქვს, თუმცა სინამდვილეში... ერთია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ფეხბურთში ერთი მარტივი ტრენაჟერი იყო – კედელი, ზედ დახატული კარით, ხოლო იმისათვის, რომ მწვრთნელს მოთამაშეებისთვის დავალების მიცემა გაადვილდებოდა, ის ცხრა კვადრად იყო დახაზული.

კარს მხოლოდ ერთი ცხრიანი აქვს

ნინო ალექსანდრია

(მეშვიდე გვერდიდან)

ჯემალ კასრაძე:
ჩემი ოცნებაა, გადავიღო ცხინვალში დაბრუნებული ქართველები...

გოდერძიმ შამპანური გახსნა. სამ-სამ სადღეგრძელოზე გვეყო. არა, არა-მეთქი, იმერული თავპატიჟი გამოვიდე. თუმცა არ მინდოდა ამ კაცთან მალე დაცილება.

ერთი ბოთლი რას გვიზამს, რამდენი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი. ერთმანეთი არ უნდა გავიცნოთ? – დამამუნათა მასპინძელმა.

ცოტა ხანში ჯერ მე წავიყვანე ცხინვალში, მერე იმან მომატარა გუდამაყარი.

ყველა ჭიქაზე ბულბული დაჯდა. თვალის დახამხამებაში არყის ტყუპისცალი გაჩნდა. არადა დალევის იმ ფაზაში ვართ, სიმთვრალისთვის სასმელი კი არა, დროა საჭირო.

ნინო შემოვიდა – გოდერძი, ხომ იცი, შენთვის მეტის დალევა არ შეიძლება. ეგ ბოთლი ჯემალს გავატანოთ, სახლში დაგვლოცავსო.

უხერხულობისთვის მოვემზადე.

– რა ვქნა, ჯემალ, ექიმებმა ამიკრძალეს, სამი ჭიქის უფლება მომცეს, ნინოს უნდა დავუჯერო. ფარ-ხმალი დაყარა, მომიბოდიშა ოჯახის უფროსმა.

ლიფტით ერთად დავეშვით. დაწყებული საუბარი დაბლა განვაგრძეთ. მოულოდნელად გოდერძიმ მკლავში ჩამავლო ხელი. – მოდი რა, ძმურად, სახლში ავბრუნდეთ, ერთი ბოთლი რაღას გვიზამსო?

დამშვიდობებულ ოჯახთან უკან აბრუნებას დაუწერელი ტაბუ ადევს, რომელსაც თრობის ყველა სტადიაზე ემორჩილება ადამიანი.

– ხშირად იხსენებთ ჯანსუღ კახიძის დირიჟორობის დროს მომხდარ კურიოზს...

– ჯანო კახიძეს კონცერტის დროს არ უყვარდა ფოტოგრაფები. ამიტომ ვცდილობდით, ფორტეპიანოზე გადაგვეღო, რომ ფოტოაპარატის ჩხაკუნის ხმა არ გაეგონა.

ამ წესს კი ვიცავდი, მაგრამ ხიფათი სხვა მხრიდან მეწვია. ერთ-ერთი მომღერალი ისე დადგა, იძულებული ვიყავი, ადგილი შემეცვალა. გადავდგი თუ არა ფეხი, ეშმაკად ამოწეულ პარკეტს წამოვკარი. და აი, მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჯანო დიდი მაესტრო იყო. თან უკან, ჩემკენ იყურებოდა და განრისხებულ თვალებს არ მაცილებდა, თან დირიჟორობდა.

– ნუგზარ შატაიძესთან მეგობრობდით, რომელიც წერდა: „ჯემალ კასრაძეს სულ ცოტა 30 წელია, ვიცნობ, მაგრამ ვერ ვიხსენებ, როდის ან როგორ გავიცანი. სულ მგონია, რომ ბავშვობიდან ერთად ვიყავით. ან ის სწავლობდა თბილისის 31-ე სკოლაში, ან მე – ცხინვალის პირველ საშუალოში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ოსმა „ბოევიკებმა“ მთლიანად გადაწვეს. ის კი ნამდვილად მახსოვს, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში ერთად რომ ვმუშაობდით“...

– ნუგზარ შატაიძე იმასაც წერდა, ჯემალ კასრაძე მრავალი ცნობილი და პოპულარული ფოტოს ავტორია, ბევრი ისეთი კადრი გადაუღია, მას რომ ეკადრება. ამასთან, მშვენივრადაც წერს. ეჭვი თავიდანვე მქონდა, მაგრამ როცა მისი წიგნი „ჩიტებით სავსე ყუთი“ გამოვიდა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჯემალ კასრაძე მწერლად იყო დაბადებული.

– ერთ-ერთ თქვენს ჩანაწერს „უცხო ცხინვალი“ ჰქვია. დედულეთი იყო სოფელი დისევი. პაპა იროდიონ (კუწა) ოქროპირიძე სოფლის კოლორიტი... 2008 წელს, ავადმოსაგონარი ომის დროს კი ცეცხლწაკიდებულ სახლში, ბიცოლა ნატო ოქროპირიძე დაიღუპა...

– 1989 წლის 21ნოემბერს ცხინვალში მიტინგის ჩამტარებელთა მრავალრიცხოვან არმიაში მეც ვიყავი. ანდა სხვანაირად როგორ იქნებოდა – ცხინვალი ხომ ჩემი ქალაქია. აქ დავიბადე, აქ გავიზარდე. ყველამ იცის, იქ რა მოხდა. ჯერ იყო და, ერგნეთში სამი „ბეტეერით“ გადაგვიკეტეს გზა. შემდეგ, ცხინვალის ჩასასვლელში, ზღუდრიგვერდაზე დაგვახვედრეს კბილებამდე შეიარაღებული რუსული ჯარის კორდონი.

კორდონი ათ მეტრში იდგა, იმ ადგილიდან, სადაც დავიბადე და ოთხი წელი ვიცხოვრე.

უცნაური გრძნობა დამეუფლა – ვერ დავიჯერე, რომ ცხინვალში არ მიშვებდნენ. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, იქითა მხარეს გადავსულიყავი. ზემოდან, ტყის მხრიდან მოვუარე და ზღუდრის ღვთისმშობლის ეკლესიიდან მოპირდაპირე მხარეს ჩავედი. ჯარს უკან მოვექეცი. ოსებში გავერიე, თან აპარატს ვაჩხაკუნებ, თან ვფრთხილობ. თუ გაიგეს, რომ მომხდურებიდან ვარ, კარგს რას ველოდი. იმის მცირე იმედი მაქვს, რომ ხშირად ვგონივართ უცხოელი. თბილისის მიტინგებზე ხშირად გამიგონია, უცხოელია, გავატაროთო.

ამ დროს ღიმილით უნდა იარო და რაც ყველაზე მთავარია, ხმა არ ამოიღო.

ოთხი ახალგაზრდა ჩამიდგა კვალში. აშკარად ეჭვით მიყურებდნენ. ბედად ჩემი მდევრები ნაცნობებმა გააჩერეს. დრო ვიხელთე, გავძვერ-გამოვძვერი და ჩვენების მხარეს შევედი.

– რომელი წამის გადაღებაზე ოცნებობს ჯემალ კასრაძე?

– ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, გადავიღო, როგორ ბრუნდებიან ცხინვალში - თავის გადამწვარ-გადაბუგულ კერაზე ქვეყნის ოთხივ კუთხით გაფანტული ქართველები.

თამარ შაიშმელაშვილი

თენგიზ არჩვაძე და ნოდარ მგალობლიშვილი

დათო ყიფიანი და ალექსანდრე ჩივაძე

მსოფლიოში იმდენი საკვები ნაღვრეება, რამდენიც ზიმშილის ზღვარს მიღმა მყოფ 2 მილიარდზე მეტი ადამიანის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა...

„საკვებად ვარგისი პროდუქტების განადგურება უნდა აიკრძალოს და გადაეცეს საქველმოქმედო ორგანიზაციებს, მოხუცთა თავშესაფრებს, ფერმერულ მეურნეობებს“, – ამის შესახებ „ახალგაზრდული ალტერნატივის“ გამგეობის თავმჯდომარე, „საქართველოს ეროვნული პლატფორმის“ ხალხთა შორის კონტაქტების კოორდინატორი, საკვების განადგურების აკრძალვის ინიციატორი ნუკრი ყველაშვილი გვესაუბრება.

– საქართველოში უამრავი ვარგისი პროდუქტი ნადგურდება, რაშიც მხოლოდ სავაჭრო ქსელი და საზკვების ობიექტებია დამნაშავე?

– ამაში დამნაშავეა კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, სავაჭრო ქსელები და საზკვების ობიექტები ვალდებულნი არიან, ამ პროდუქციის უტილიზება მოახდინონ. ჩემი ადრესატია არა სუპერმარკეტები, არამედ საქართველოს პარლამენტი და მთავრობა, რადგან მათ უნდა შეცვალონ ის კანონმდებლობა, რომლითაც ახლა ვალდებულება აქვთ სუპერმარკეტებსა და სავაჭრო ცენტრებს, რომ თუნდაც ერთი დღით ვადაგადაცილებული ვარგისი პროდუქტები გაანადგურონ. წინაალმდეგ შემთხვევაში, ისინი დაჯარიმდებიან. კანონმდელობა რომ შეიცვლება, სავაჭრო ცენტრებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ, უფრო ჰუმანური გადაწყვეტილებები მიიღონ და ვადაგადაცილებული, მაგრამ საკვებად ვარგისი პროდუქცია თავშესაფრებს, ფერმერულ მეურნეობებს გადასცენ.

– თქვენ გჯერათ, რომ სავაჭრო ქსელები ზუსტად ერთ დღეში ანადგურებენ უვარგის პროდუქციას? ვადაგადაცილებული პროდუქტები ზოგჯერ კარგა ხანს რჩება დახლებზე.

– არსებობს უსინდისო მეწარმე, რომელიც შესაძლოა, ვადაგადაცილებულ პროდუქტს ტოვებს კიდეც დახლზე. სურსათის ეროვნული სააგენტო მუშაობს ამაზე და, გამოვლენის შემთხვევაში, ეს ობიექტი ჯარიმდება. თუმცა წვრილ მაღაზიებზე ახლა არ ვსაუბრობ, ეს ეხება დიდ ქსელებს, რომლებიც ზრუნავენ იმაზე, რომ ვადაგადაცილებული პროდუქცია ამოიღონ საკვაჭრო ობიექტებიდან.

– 2016 წელს საფრანგეთმა საკვების განადგურების საწინააღმდეგო რეგულაცია მიიღო. შესაძლოა, საფრანგეთში იმუშავა კიდეც ამ რეგულაციამ, მაგრამ საქართველოში როგორ იმუშავებს, სადაც ყველაფრის გაყალბებას მიჩვეულნი არიან?

– ამ რეგულაციამ საფრანგეთში ძალიან კარგად იმუშავა. საფრანგეთს ვერ შეევადრით საქართველოს თავისი სიმდიდრითა და შესაძლებლობებით. თუმცა ფაქტია, რომ ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც საფრანგეთია, ზრუნავს იმაზე, რომ ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ევროს პროდუქცია არ განადგურდეს. საქართველოშიც კარგად იმუშავებს ეს ინიციატივა, რადგან საზოგადოების ჩართულობა მაღალია ასეთი პროექტების მიმართ. შეგახსენებთ, რამდენიმე ასეთი ინიციატივა გორშიც იყო და თბილისშიც, როცა ადამიანებმა გამოიტანეს „სოციალური მაცივრები“ და ღარიბებს დაეხმარნენ. ვისაც პროდუქცია არ სჭირდებოდა, შეეძლო მიეტანა ამ ორგანიზაციაში. ესეც იქნება სოლიდარობის აქცია, როგორც საზოგადოების, ისე მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესის მხრიდან.

კანონმდებლობის ცვლილებით სახელმწიფოსაც შეუძლია დადებითი როლი შეიტანოს ამ საქმეში. მთლიანად ევროკავშირი წუხს ამის გამო და ყოველწლიურად ებრძვის იმ ფაქტს, რომ ამდენი საკვები იყრება. ზოგადად, მსოფლიოში იმდენი საკვები ნადგურდება, რამდენიც დააკმაყოფილებდა დედამიწაზე მცხოვრებ, შიმშილის ზღვარს მიღმა მყოფ 2 მილიარდზე მეტი ადამიანის მოთხოვნილებას. ამით ჩვენ დავაფასებთ ადამიანის შრომასაც და ეკონომიკასაც. ამდენ პროდუქციას ხომ მოყვანა სჭირდება, ეს ეკონომიკისთვისაც ზარალია, რომ ამდენი პროდუქცია იწარმოება და ნადგურდება. ასევე, ჩვენ შევუერთდით პარიზის ხელშეკრულებას, რომლითაც ვალდებულება ავიღეთ, ვიზრუნოთ ჩვენს პლანეტაზე, ჩვენს ქვეყანაზე.

– ამით სომალის, ეთიოპიისა და კენიის მოშიმშილე ხალხის პრობლემაც გადაწყდება?

– რა თქმა უნდა. თანაც, შიმშილობის პრობლემის გადაჭრის გარდა, ჩვენს პლანეტასაც გავუფრთხილდებით, რადგან პროდუქციის მოყვანას სჭირდება წყალი, ენერგია. მოშიმშილე ადამიანებისთვის უფასო სასადილოებია გახსნილი. ამ სასადილოებისთვის სახელმწიფო ყიდულობს პროდუქციას. ამიერიდან კი სახელმწიფოს ნაკლები ფასი დაუჯდება პროდუქციის შესყიდვა.

– რამდენიმე წლის წინათ აჭარის მოსახლეობამ მანდარინი პროტესტის ნიშნად გადაყარა, რადგან ძალზე იაფი ღირდა. იმ პერიოდში ბევრმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა, აჭარლებს მოსავალი ბავშვთა სახლებისთვის გაემეტებინათ.

– ეს პროტესტი სახელმწიფოს მიმართ იყო. ასეთ პროტესტს მიმართავენ ევროკავშირის ქვეყნებშიც. მაგალითად, ევროკავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში რომელიღაც სახელმწიფო დაწესებულების წინ დიდი ცისტერნებით მიიტანეს ძროხის რძე და შეასხეს დაწესებულებას. ეს იყო ფერმერული მეურნეობების პროტესტი, რადგან სახელმწიფო არანაირ დახმარებას არ უწევდა ამ ადამიანებს, მათ თვითღირებულებაზე დაბალ ფასს აძლევდნენ და წამგებიანი იყო ფერმერული მეურნეობებისთვის რძის წარმოება. ამის შემდეგ სახელმწიფო ცოტა შეფუცხუნდა. ცხადია, ბევრად უკეთესია, უპატრონო ბავშვთა სახლებს დავეხმაროთ, მაგრამ ეს არის პროტესტი ხელისუფლების მხრიდან გაუკეთებელი საქმის გამო, რომელსაც ევალება გაყიდვების ბაზრების მოძიება, რათა ფერმერებს პროდუქციის წარმოება გაუმარტივდეთ.

– სხვათა შორის, „გუდვილი“ და „სპარის“ ქსელი გამოეხმაურა თქვენს ინიციატივას. „გუდვილში“ ამბობენ, რომ ყოველდღიურად მხოლოდ 200-500 გრამი საკვები რჩებათ და აზრს კარგავს ეს ინიციატივა. „სპარში“ კი აცხადებენ, რომ ვადაგადაცილებულ პროდუქციას ფერმერებს იაფად აძლევენ. თუკი სავაჭრო ქსელები პროდუქციას ერთ დღეში არ გადაყრიან და რამდენიმე დღეს გააჩერებენ დახლებზე, ბავშვთა სახლებსა და მოხუცთა თავშესაფრებს ხომ არ მოუწევთ დაძველებული პროდუქციის მიღება და ეს ადამიანები ხომ არ დაიწამლებიან?

– „გუდვილის“ ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. 10 საათზე, „გუდვილი“ როცა იკეტება, შეგიძლიათ, შეხვიდეთ და ნახავთ, რომ დახლები ისევ სავსეა ამ პროდუქციით. მეორე დღეს ამავე პროდუქციის გამოტანის უფლება მათ არა აქვთ. სხვათა შორის, ძალიან კარგი პოლიტიკა აქვს „სპარის“ ქსელს, როცა 8 საათის შემდეგ მზა საკვებს ფასების 20-50% აკლდება და ყველა შეჭირვებულს შესაძლებლობა აქვს, იყიდოს ეს პროდუქცია. ეს პროდუქცია დახლზე არ უნდა გაჩერდეს, არამედ უნდა ამოიღოს სუპერმარკეტმა, რადგან ჩვენ ვართ მომხმარებლები და უფლება გვაქვს, ვადაგადაცილებული პროდუქცია არ მივიღოთ. გარკვეულმა პროდუქციამ შეიძლება ტემპერატურულ რეჟიმში რამდენიმე თვეც გაძლოს, მით უმეტეს, ეს შეეხება ევროკავშირში წარმოებულ პროდუქციას. უბრალოდ, ევროკავშირში დიდწილად თავს იზღვევენ და საკუთარ პროდუქციას მინიმალურ ვადას აწერენ, თორემ ეს პროდუქცია, ხშირ შემთხვევაში, ჯანსაღი და მომხმარებლისთვის უვნებელია. ამიტომ ეს პროდუქცია შეიძლება გადასცენ ბავშვთა სახლებს, ფერმერებს ცხოველების გამოსაკვებად.

დიდი სუპერმარკეტის ქსელებს აქვთ თავიანთი ლაბორატორია და თავადვე ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს. მესმის, რომ რაღაც სეგმენტი იქიდან შეიძლება განადგურებას ექვემდებარებოდეს, მაგრამ, როცა სულ რაღაც რამდენიმე თვეში მილიონი ლარის პროდუქცია იყრება, წარმოიდგინეთ, რამხელა შეღავათი იქნება ეს უბრალო ადამიანებისთვის. შეგვიძლია, ეს მოდელი შევისწავლოთ თუნდაც საფრანგეთისგან. სხვათა შორის, იდეა შევთავაზე ქალაქის მერს, გავგზავნე კიდეც თბილისის მერიაში და პეტიციის სახით დავდე მათ გვერდზე, თუმცა მერიიდან მომწერეს, რომ ჩემი პეტიცია დაიბლოკა. დაბლოკვის მიზეზი არ უთქვამთ. იმის შესაძლებლობაც არ მაქვს, ჩემი ხმა მერიას მივაწვდინო.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ნანი ბრეგვაძე:

ჩვენ რუსებს არ ვმტრობთ!

ნანი ბრეგვაძის კონცერტი გაიმართა. კონცერტს ნიკა რაჭველი დირიჟორობდა და მასში ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე და ვალერი მელაძე მონაწილეობდნენ. კონცერტამდე ნანი ბრეგვაძემ ინტერვიუ რუსულ გამოცემა „იზვესტიას“ მისცა, სადაც რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე ისაუბრა და თქვა, რომ რუსი და ქართველი ხალხები ერთმანეთს ისევ უნდა დაუახლოვდნენ:

„სიკეთე ხელს უწყობს ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობას, ამაზე ყოველი ჩვენგანი უნდა ფიქრობდეს. ეს საჭიროა, რათა კვლავ დავუახლოვდეთ ერთმანეთს, როგორც ეს ადრე იყო. სამწუხაროდ, ქართველებს კვლავ არ აქვთ რუსეთში თავისუფლად შესვლის უფლება, რუსებს კი აქვთ. არ იფიქროთ, რომ მე პოლიტიკაში გადავდივარ. მხედველობაში მაქვს ადამიანური ურთიერთობები, ჩვენი მოთხოვნილება მეგობრობაზე და სიყვარულზე. ჩვენ ყოველთვის გვიხარია, როცა საქართველოში რუსები ჩამოდიან. ჩვენი სტუმართმოყვარეობა უსაზღვროა. ძალიან ვცდილობთ, რომ სტუმრებს ვასიამოვნოთ, ყველაფერს ვაკეთებთ მათთვის. როცა საქართველოში რუსი სტუმრები მოდიან და მოგვმართავენ, უფრო ბედნიერები ვხდებით, ჩვენ რუსებს არ ვმტრობთ! მაგრამ ჩვენი ახალგაზრდები რუსეთისაგან თავს შორს იჭერენ და ამბობენ: „რატომ არ გვიშვებენ თავისუფლად რუსეთში? ჩვენ ხომ რუსებს ჩამოსვლაში ხელს არ ვუშლით და მათ გულღიად ვხვდებით“. ჩვენ, უფროსი თაობა, მათ ვუხსნით, რომ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, დავხვდეთ მათ კარგად, მთავარია, ადამიანებმა დაინახონ, თუ როგორ კარგად ვეპყრობით რუსეთს და რუს მოქალაქეებს. ძალიან მინდა, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა ისე გაიცნონ და შეიყვარონ რუსეთი, როგორც ამას თავის დროზე ჩვენ ვაკეთებდით. ჩვენ ერთი მთლიანი ვიყავით, ერთად ვიზრდებოდით. ძალიან მინდა, რომ თქვენ შეიყვაროთ საქართველო. კულტურა ადამიანებს ერთმანეთთან აახლოებს. ეს ვიცი და ამიტომაც ვმღერი“, — აცხადებს ნანი ბრეგვაძე.

იაპონიაში „მფრინავი ქოლგა“ შექმნეს

თანამედროვე ეპოქაში ბევრი ტექნოლოგიური სიახლეა. იაპონურმა კომპანია Asahi Power Services-მა ზღაპრებში მონათხრობი ისტორიები გააცოცხლა და ბაზარზე პირველი „მფრინავი ქოლგა“ გამოიტანა. შესაბამისად ქოლგის მფლობელისათვის გადაადგილება უფრო მარტივი ხდება, დაიჭერ ქოლგას და შესაძლებლობა გაქვს, „იფრინო“.

„მფრინავი ქოლგა“ დრონის კონსტრუქციაზეა აწყობილი, მხოლოდ მფლობელის მობილურიდან იმართება და მის ბრძანებებს ემორჩილება.

„მფრინავი ქოლგა“ 5 კგ-ს იწონის, ხოლო მისი ბატარეა დამუხტვის გარეშე 20 წუთი ფუნქციონირებს.

კომპანიის ექსპერტები კი ინტენსიურად მუშაობენ იმაზე, რომ ქოლგის წონა 1კგ-მდე დაიყვანონ, ხოლო ბატარეის მუშაობა 1 საათამდე გაზარდონ.

მაშველებმა მტკვარში ჩავარდნილი ჰასკი გადაარჩინეს

ცხოველთა მონიტორინგის სპეციალურმა სამსახურმა გადაარჩინა ჰასკის ჯიშის ძაღლი, რომელიც მდინარე მტკვარში ჩავარდა. ამ განცხადებას სამსახური თავის Facebook გვერდზე აქვეყნებს.

ძაღლის მეპატრონემ გააკეთა განაცხადი, რომ დილით სეირნობისას 9 თვის ჰასკი დაეკარგა.

მოგვიანებით ზედამხედველობის სამსახურმა მეპატრონეს შეატყობინა, რომ ძაღლი ნაპოვნია.

ლეკვი დაუდგენელი ვითარებით აღმოჩნდა მდინარე მტკვარში. მან შეძლო ჯებირებამდე გამოცურვა, თუმცა ამოსვლას ვერ ახერხებდა. მაშველების თქმით, ის შეშინებული და დაღლილი იყო, თუმცა მშვიდად ელოდა მათ დახმარებას.

15 ქალაქი ყველაზე მაღალი ხელფასებით

DEUTSCHE BANK ყოველწლიურად აქვეყნებს რეიტინგს Mapping the world's prices, რომელშიც შესწავლილია მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვა საგნის თუ სერვისის ფასები — სიგარეტის კოლოფიდან ბინამდე. ასევე ექსპერტები ადგენენ, რომელ ქალაქებშია ყველაზე მაღალი ხელფასები მსოფლიოში. 2018 წლის რეიტინგში ამ მხრივ გამოიკვეთა 15 ლიდერი (დასაწყისი იხ. სრ№116-118).

5. ბოსტონი, აშშ,

საშუალო ხელფასი — 3 740 დოლარი

შტატ მასაჩუსეტსის დედაქალაქი ახალი ინგლისის სახელით ცნობილი რეგიონის უმსხვილესი, და ასევე შტატებში ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ქალაქი.

ბოსტონის ეკონომიკის უმსხვილესი დარგებია ბანკები, ფინანსები და დაზღვევა. სწორედ იქ მდებარეობს ცნობილი კომპანიების და ბანკების ცენტრალური ოფისები.

ქალაქი ასევე არის ამერიკის საგამომცემლო საქმიანობის ერთ-ერთი ცენტრი, იქ განლაგებულია მსოფლიოში მსხვილი გამომცემლობები.

4. სიდნეი, ავსტრალია,

საშუალო ხელფასი — 3 914 დოლარი



ავსტრალიის ყველაზე დიდი და ძველი ქალაქი, ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგებია მომსახურეობა, ვაჭრობა, ჯანდაცვა და მრეწველობა. სიდნეიზე მოდის ავსტრალიის ეკონომიკის 25%. ქალაქში მდებარეობს ავსტრალიის ფასიანი ქაღალდების ბირჟა, სარეზერვო ბანკი, 90 უმსხვილესი ბანკის ოფისი და ავსტრალიის მსხვილი კომპანიების ნახევარი. სიდნეიში ასევე მოქმედებს 500 ტრანსნაციონალური კომპანიის რეგიონალური წარმომადგენლობა.

3. ნიუ-იორკი, აშშ,

საშუალო ხელფასი — 4 115 დოლარი

აშშ-ს უმსხვლესი ქალაქი, შედის მსოფლიოს ყველაზე დიდი აგლომერაციების სიაში, მსოფლიოს დონის ფინანსური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

ნიუ-იორკში აქვთ შტაბბინები ფინანსურ გიგანტებს. ქალაქში მუშაობს მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული ბირჟები — ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, მაღალი ტექნოლოგიების ბირჟა NASDAQ, ამერიკული საფონდო ბირჟა, ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟა და ნიუ-იორკის სავაჭრო პალატა.

2. სან-ფრანცისკო, აშშ,

საშუალო ხელფასი — 4 974 დოლარი

მსოფლიო ტურისტული ცენტრი ცნობილი რბილი კლიმატით, მთაგორიანი რელიეფით, ვიკტორიანული ეპოქის და სუპერთანამედროვე არქიტექტურის შერწყმით. ასევე არის მაღალი ტექნოლოგიების ერთ-ერთი ცენტრი სილიკონის ველთან სიახლოვის გამო.

1. ციურიხი, შვეიცარია,

საშუალო ხელფასი — 5 764 დოლარი

გლობალური ქალაქი შვეიცარიის ჩრდილო-აღმოსავლეთში. შვეიცარიის უმსხვილესი ქალაქი, ფინანსური ცენტრი, სადაც მდებარეობს სადაზღვევო კომპანიების და ბანკების შტაბბინები, მათ შორის UBS და Credit Suisse-ის. იქვეა შვეიცარიის საფონდი ბირჟა და ცენტრალური ბანკის შტაბბინა. მსხვილი სამეცნიერო ცენტრი, სადაც მოქმედებს მსოფლიოში განთქმული უნივერსიტეტი და ტექნიკური სკოლა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4464; ევრო - 2.8782;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2840;
100 რუბლი - 3.9474; თურქული ლირა - 0.5299;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4408;
1000 სომხური დრამი - 5.0566.

ამინდი 8 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+26
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge